

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

ელენე გარდავა



ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ეროვნული და  
საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

ნაშრომი შესრულებულია სისხლის სამართლის მაგისტრის ხარისხის  
მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ირინე ხერხეულიძე

თსუ იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი,  
სამართლის დოქტორი

თბილისი 2019

# სარჩევი

შესავალი .....	3
თავი I. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ცნება.....	5
1.1 ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) საერთშორისო სამართლის მიხედვით ...	5
1.2 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტები.....	8
1.3 ადამიანებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) ევროპული სივრცე .....	11
1.4 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა.....	13
1.5 ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგის) საქართველოს კანონმდებლობით .....	17
თავი II. მონობა, იძულებითი შრომა .....	19
2.1 ტრეფიკინგისა და მონობის, იძულებითი შრომის ურთიერთმიმართება და განსხვავება, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა.....	19
თავი III. ადამიანთა კონტრაბანდული გადაყვანა .....	28
3.1 ტრეფიკინგსა და ადამიანთა კონტრაბანდულ გადაყვანას შორის ურთიერთმიმართება და განსხვავება.....	28
თავი IV. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ხელშემწყობი სხვადასხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები .....	33
4.1 შეიარღობილი კონფლიქტის ზონა, როგორც ტრეფიკინგის მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორი .....	33
თავი V. ადამიანით ვაჭრობასა (ტრეფიკინგს) და პროსტიტუციას შორის ურთიერთმიმართება და მასთან ბრძოლის მექანიზმები.....	38
თავი VI. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარებისა და რეაბილიტაციის მექანიზმები .....	45
დასკვნა .....	51
გამოყენებული ლიტერატურა .....	55

## შესავალი

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) მისი მასშტაბურობისა და სიმძიმის გათვალისწინებით ყველა სახელმწიფოსთვის რთულად დასამარცხებელი დანაშაულია. დღესდღეობით მან მსოფლიო მოცულობით არალეგალურ ბიზნესის სახე მიიღო; ტრეფიკინგის მსხვერპლთა გამოყენებით ადამიანით მოვაჭრეები საკმაოდ დიდ ფინანსურ მოგებას იღებენ, რის გამოც ეს დანაშაული არ კარგავს აქტუალურობას და „მოთხოვნა-მიწოდების ბაზარი“ მის მნიშვნელოვან წყაროდ რჩება. იგი ორგანიზებულ დანაშაულთა კატეგორიას წარმოადგენს, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა კი განსაკუთრებული და კომპლექსური მეთოდების შემუშავებას საჭიროებს. აუცილებელია, რომ სახელმწიფოებმა მოახდინონ მყისიერი და სათანადო რეაგირება, განსაზღვრონ ამ დანაშაულთან საბრძოლველად სწორი და ეფექტური პოლიტიკა, შეიმუშავონ მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვისა და რეაბილიტაციისთვის საჭირო ღონისძიებები და გაატარონ ყველა საჭირო ზომა, რათა დაიცვან ადამიანები, პოტენციური მსხვერპლები ამ მძიმე დანაშაულისგან. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ასევე ის წამახალისებელი ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობს ტრეფიკინგის მასშტაბურობას, ესენია მძიმე სოციალური და ეკონომიკური ფონი, უმუშევრობა, საზღვარგარეთ სამუშაოს საძიებლად წასვლა, შეიარაღებული კონფლიქტის ზონა, არასათანადო შრომითი რეგულირება, არასაკმარისი სამართლებრივი მექანიზმები ამ დანაშაულთან ბრძოლის, აღკვეთისა და პრევენციისთვის. რადგანაც ადამიანით ვაჭრობის გამომწვევი მიზეზი ან წამახალისებელი ფაქტორი არაერთია, არამედ მრავალფეროვანი, აუცილებელია მის წინააღმდეგ ბრძოლა იყოს კომპლექსური და არ შემოიფარგლებოდეს ერთი კონკრეტული მიმართულებით.

საქართველო, მისი ეკონომიკური მდგომარეობის, სოციალური პრობლემების სიმრავლის, მისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გათვალისწინებით ადამიანით ვაჭრობის დანაშაულისთვის ‘ნოყიერ ნიადაგს’ ქმნის; ყოველივე ამის საფუძველზე ნაშრომის აქტუალურობა განპირობებულია ადამიანით ვაჭრობის დანაშაულის გლობალური ზრდით, ამ საკითხის სიმწვავის და ადამიანის ფუნდამენტური უფლებების შელახვის, მისი გამოწვევი მიზეზების გათვალისწინებით. ნაშრომის მიზანია, პირველ რიგში, განმარტებულ იქნას ადამიანით ვაჭრობა, მისი საერთაშორისო-სამართლებრივი და ეროვნული რეგულირება; ნაშრომი ითვალისწინებს ტრეფიკინგის, მონობისა

და იძულებითი შორმის ურთიერთმიმართებას; მათ განსაზღვრებას არა მხოლოდ თეორიული მოცემულობით, არამედ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმეებსა და მის მიერ გაკეთებულ მნიშვნელოვან განმარტებებზე დაყრდნობით. ადამიანით ვაჭრობის დანაშაულთან მიმართებით მნიშვნელოვანია პარალელის გავლება მასსა და ადამიანთა კონტრაბანდულ გადაყვანას შორის, მათი შედარება და განმასხვავებელი ნიშნები. ნაშრომი მოიცავს ასევე ადამიანით ვაჭრობის გამომწვევ მიზეზთა კვლევას. მათ შორის გამოყოფილია შეიარაღებული კონფლიქტის, ზონა, როგორც ამ დანაშაულის მასშტაბურობის მიზეზი, რაც მისი მსხვერპლთა სიმრავლიდან გამომდინარე, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ტრეფიკინგის გენდერ-სპეციფიკურ ხასიათს გარკვეულწილად უკარგავს. ამ ყოველივეს გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ რა დაცვის მექანიზმები არსებობს და რამდენდ ეფექტურია მათი არსებობა; ნაშრომი ითვალისწინებს ასევე სახელმწიფო ორგანოების ხელთ არსებულ სამართლებრივ ბერკეტების მიმოხილვას, იმ ზომებს, რისი მიღებაც მათ შეუძლიათ. მნიშვნელოვანია განვიხილოთ ასევე ტრეფიკინგი პროსტიტუციასთან მიმართებით, არსებული ეროვნული რეგულირება. გარდა დანაშაულის აღკვეთისა და პრევენციისა, აუცილებელია უკვე ამ დანაშაულის მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაცვა, რეაბილიტაცია და დახმარება, რომ დაძლიონ ის ფიზიკური და ფსიქიკური ტრავმა, რაც მიადგათ, რომ კვლავ შეძლონ სოციუმში ინტეგრაცია და ცხოვრების გაგრძელება. უნდა აღინიშნოს, რომ მსხვერპლთა/დაზარალებულთა დახმარება-დაცვისა და რეაბილიტაციის ღონიძირებების გატარებაც კომპლექსური მიდგომებით ხორციელდება, უწყებათა თანამრომლობით და მათი ერთობლივი ძალისხმევით.

## თავი I. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ცნება

ტრეფიკინგი ნიშნავს ადამიანთა გადაბირებას, ტრანსპორტირებას, გადაყვანას, შეფარებას ამ მიღებას, მუქარის, ძალის გამოყენების ან იძულების სხვა საშუალებებით; მოტაცებით, თაღლითობით, მოტყუებით, ძალაუფლების ან პირის უმწეობის ბოროტად გამოყენებით ან იმ პირის თანხმობის მისაღწევად, თანხის ან სხვა სარგებლის მიცემით ან მიღებით ვის დამოკიდებულების ქვეშა იმყოფება მეორე პირი, ამ ადამიანის ექსპლუატაციის მიზნით.<sup>1</sup> ადამიანებით ვაჭრობა ძალიან მძიმე დანაშაულია, რომელიც უხეშად არღვევს ადამიანის უფლებებს და შეიძლება განისაზღვროს, როგორც მონობის თანამედროვე ფორმა. ეს პრობლემა ეხება მთელ მსოფლიოს, რადგან ნებისმიერი ქვეყანა შეიძლება მისი წარმოშობის, ტრანზიტის ან დანიშნულების ადგილი გახდეს ან სულაც სამივე პირობა ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე განხორციელდეს. გლობალურ დონეზე ტრეფიკინგის მასშტაბურობის განსაზღვრა ძნელია მისი დაფარული ბუნების გამო. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით, ადამიანით ვაჭრობა უკანონოდ მიღებული შემოსავლების წყაროთაგან მეორეა, ნარკოტიკებით ვაჭრობის შემდგომ.<sup>2</sup>

### 1.1 ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) საერთაშორისო სამართლის მიხედვით

საერთაშორისო სამართალში ადამიანით ვაჭრობასთან ბრძოლის შესახებ სამართლებრივი დოკუმენტები 1990 წლების ბოლოს შეიქმნა, როდესაც სახელმწიფოებმა მიზნად დაისახეს ადამიანით ვაჭრობა გამოეყოთ სხვა დანაშაულებისგან, მაგ. როგორცაა უკანონი მიგრაცია. რადგანაც ტრეფიკინგი რთული და კომპლექსური საკითხია, ის არაერთი საერთაშორისო აქტით არის გათვალისწინებული; მაგ. ისეთი ხელშეკრულებები, რომლებიც შეიძლება განიხილებოდეს სხვადასხვა ქრილში და ეხებოდეს მონობასა და

<sup>1</sup>ორგანიზებული ტრანსნაციონალური დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ოქმი (ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ), მე-3 მუხლი, (ა) ქვეპუნქტი

<sup>2</sup>ინფორმაცია ხელმისაწვდომია [https://ec.europa.eu/anti-trafficking/citizens-corner/trafficking-explained\\_en](https://ec.europa.eu/anti-trafficking/citizens-corner/trafficking-explained_en)

მონათვაჭრობას, იძულებით შრომას, ბავშვთა და ქალთა უფლებებს, მიგრანტთა შრომით და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებებს, ასევე ზოგად საკითხებს სამოქალაქო, კულტურული, ეკონომიკური, პოლიტიკური ან სოციალური უფლებების ჭრილში. ეს ყველაფერი შესაძლოა რელევანტური გახდეს ტრეფიკინგთან მიმართებით. ტრეფიკინგის დეფინიცია პირველად მოხდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2000 წელს მიღებული ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ კონვენციასა და მის დამატებით ოქმში, ადამიანების, განსაკუთრებით კი ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ. აღნიშნული განმარტების ინკორპორირება შემდგომ ბევრ სამართლებრივ და პოლიტიკურ ინსტრუმენტში მოხდა, მათ შორის ეროვნულ კანონმდებლობაშიც.<sup>3</sup> დღესდღეობით, ტრეფიკინგთან ბრძოლის ყველაზე მნიშვნელოვან სამართლებრივ დოკუმენტად გაეროს მიერ 2000 წელს მიღებული დოკუმენტი გვევლინება. მისი შექმნა უკავშირდება 1992 წელს გაეროს მიერ შექმნილ კომისიას დანაშაულის პრევენციისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების შესახებ (CCPCJ); მისი ეგიდით 1994 წელს ქალაქ ნეაპოლში მოიწვიეს მინისტრიალი, რომელიც ეხებოდა ორგანიზებულ ტრანსნაციონალურ დანაშაულს. გამოიკვეთა მყისიერი საჭიროება იმისა, რომ შექმნილიყო ეფექტური საერთაშორისო მექანიზმი, რომელიც სახელმწიფოებს დაეხმარებოდა ორგანიზებულ ტრანსნაციონალურ დანაშაულთან ბრძოლაში და გააძლიერებდა გაეროს, როგორც საკვანძო აქტორის როლს.<sup>4</sup> გამართული კონფერენციის შედეგად მიღებულ იქნა ნეაპოლის დეკლარაცია „ორგანიზებულ ტრანსნაციონალურ დანაშაულზე“ და მისი გლობალური სამოქმედო გეგმა, რომელიც 1995 წელს დამტკიცდა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ. ნეაპოლის დეკლარაციის მიხედვით ორგანიზებულ ტრანსნაციონალურ დანაშაულთა მახსიათობლებები ექვს ელემენტად იყო დაყოფილი; მათ შორის იყო „ძალადობა, იძულება და კორუფცია, რომელითაც ხდება სარგებლის მოპოვება, ან ტერიტორიის ან ბაზრების კონტროლით დანაშაულის ჩადენა ორგანიზებული ჯგუფის მიერ; შესაძლებლობა, რომ მოახდინონ ნებისმიერი ახალი საქმიანობის გაფართოვება ქვეყნის საზღვრებს მიღმა“; ადამიანით ვაჭრობის შინაარსის გათვალისწინებით, ვფიქრობ, იგი ჩამოთვლილ ელემენტებს მოერგებოდა. 1997 წელს კი გაეროს დანაშაულის

<sup>3</sup>ინფორმაცია ხელმისაწვდომია <https://www.unodc.org/unodc/en/organized-crime/intro/UNTOC.html>

<sup>4</sup> Global Human Trafficking and the UN Convention against Transnational Organised Crime, GEOFFREY YUSSOUF, 8

პრევენციისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კომისიისა (CCPCJ) და ჯოვანი ფალკონეს საზოგადოების ერთობლივ სხდომაზე განისაზღვრა ორგანიზებული დანაშაულის ორი ასპექტი : 1) სპეციალური მახსიათობლებები, რომლებიც განსაკუთრებულად საშიში დანაშაულის სხვა დანაშაულებისგან გამოარჩევს, 2) გამოიყო კონკრეტული დანაშაულები, კერძოდ კი თაღლითობა, ფულის გათეთრება, გამოძალვა, მევახშეობა, გატაცება, კომპიუტერული დანაშაულებები, მკვლეობა და მათ შორის ტრეფიკინგი და მიგრანტთა ტრეფიკინგი. შემდგომში კი 1998-99 წლების გაეროს დანაშაულის პრევენციისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კომისიის (CCPCJ) სამუშაო შეხვედრებზე გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ შეიქმნა Ad hoc ჯგუფი ტექსტზე შესათანხმებლად და საბოლოოდ 2000 წლის 15 ნოემბერს დატვიცდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ და მასთან ერთად მისი დამტებითი ოქმი ადამინების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ. „პალერმოს ოქმის მიღება უმნიშვნელოვანესი და წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმების შესაქმნელად“.<sup>5</sup> „ოქმი რეკომენდაციას უწევდა „5 P-ს პარადიგმის პრინციპს, რაც გულისხმობს კანონის ხუთ ჯგუფად დაყოფას: პრევენციად, დაცვად, სისხლისსამართლებრივ დევნად, დასჯად და პარტნიორობად („prevention, protection, prosecution, punishment, partnership“)<sup>6</sup>. ადამიანით ვაჭრობის ტრანსნაციონალური მახსიათობლიდან გამომდინარე სახელმწიფოთა მხრიდან რთულია ამ დანაშაულთან ბრძოლა მხოლოდ საკუთარი რესურსებით და ხშირად აუცილებელიც ხდება მეორე სახელმწიფოს ჩართვა, რის გამოც კონვენციაში მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა სახელმწიფოთა საპოლიციო და იუსტიციის ორგანოებს შორის თანამშრომლობას.

---

<sup>5</sup> იქვე

<sup>6</sup> ზერხელიძე ი., ტრეფიკინგში „მიწოდება – მოთხოვნის ბაზარი“ – რეალობა, საფრთხეები და მის შესამცირებლად მიმართული ტენდენციები, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, N2, 2018, 37

## 1.2 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტები

როგორც უკვე აღინიშნა, გაეროს კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მიიღეს 2000 წლის 15 ნოემბრის გენერალური ასამბლეის 55/25 რეზოლუციით, კონვენცია ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი საერთაშორისო ინსტრუმენტია. ის სამი ოქმისგან შედგება და მიზნად ისახავს ორგანიზებულ დანაშაულთან კონკრეტულ არეალს და მათ გამჟღავნებას: პროტოკოლი ადამიანთა, განსაკუთრებით კი ქალებისა და ბავშვების მიმართ ტრეფიკინგის პრევენციის, აღკვეთისა და დასჯის შესახებ; მიგრანტთა სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო საშუალებებით უკანონოდ გადაყვანის აღკვეთის შესახებ; იარაღის უკანონო წარმოებისა და იარაღით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ გაეროს კონვენციის ოქმი. ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი ოქმის წევრობისთვისაც საჭიროა, სახელმწიფოები გახდნენ კონვენციის წევრები. კონვენცია წარმოადგენს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვნად წინგადადგმულ ნაბიჯს, რაც გამოხატავს წევრი სახელმწიფოების მხრიდან ამ პრობლემის სერიოზულად აღქმას და 'მჭიდრო' საერთაშორისო თანამშრომლობის საჭიროებას ამ პრობლემების მოგვარების მიზნით. სახელმწიფოები, რომლებიც ამ დოკუმენტის რატიფიცირებას ახდენენ, ვალდებული არიან გაატარონ რიგი ღონისძიებები ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად, მათ შორის ეროვნულ საკანონმდებლო სივრცეში სისხლისამართლებრივი რეფორმის გატარება, ექსტრადიციის ფართომასშტაბური სამართლებრივი ჩარჩოები, ორმხრივი ან მრავალმხრივი სამართლებრივი დახმარება და ურთიერთთანამშრომლობა სამართალდაცვით სფეროში.<sup>7</sup>

ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ გაეროს კონვენციის ოქმის მიხედვით ადამიანთა ვაჭრობა/ტრეფიკინგი განიმარტება, როგორც ადამიანთა გადაბირება, ტრანსპორტირება, გადაყვანა, შეფარება ან მიღება, მუქარის, ძალის გამოყენების ან იძულების სხვა საშუალებით, მოტაცებით, თაღლითობით, მოტყუებით, ძალაუფლების ან პირის უმწეობის ბოროტად გამოყენებით ან იმ პირის თანხმობის მისაღწევად თანხის ან სხვა სარგებლის მიცემით ან მიღებით, ვისი დამოკიდებულების ქვეშაც იმყოფება მეორე პირი, ამ ადამიანთა ექსპლუატაციის მიზნით. ექსპლუატაცია, როგორც

<sup>7</sup>ინფორმაცია ხელმისაწვდომია <https://www.unodc.org/unodc/en/organized-crime/intro/UNTOC.html>

მინიმუმი, გულისხმობს სხვათა პროსტიტუციის ექსპლუატაციას ან სქესობრივი ექსპლუატაციის სხვა ფორმას, იძულებით შრომას ან მომსახურებას, მონობას ან მონობის მსგავს მდგომარეობას, კატორღულ შრომას ან ორგანოთა გადანერგვას;<sup>8</sup>

ბ) ამ მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული მიზნობრივი ექსპლუატაციისათვის ტრეფიკინგის მსხვერპლის თანხმობა არ არის გადამწყვეტი, თუკი გამოყენებულია (ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნებისმიერი საშუალება. ტრეფიკინგის დასადგენად აუცილებელია, რომ არსებობდეს სამი ძირითადი წინაპირობა: მოქმედება (მაგ. გადაბირება ...); საშუალება(მაგ. მუქარა, ...); და მიზანი (ექსპლუატაცია).<sup>9</sup>

რაც შეეხება ბავშვთა მიმართ ტრეფიკინგს, საერთაშორისო სამართალი განსხვავებულ განმარტებას ითვალისწინებს; კერძოდ, თუკი ზრდასრულ ადამიანთა მიმართ ტრეფიკინგის დასადგენად ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა გამოყენებული საშუალება (მაგ. მუქარა), ამ შემთხვევაში საკმარისია მხოლოდ მოქმედება და მიზანი დგინდებოდეს; მაგ. თუკი ხორციელდება ბავშვის გადაყვანა, ტრანსპორტირება, გადაყვანა მისი ექსპლუატაციის მიზნით, ასეთ შემთხვევაში დგინდება ტრეფიკინგი ბავშვის მიმართ.<sup>10</sup>

ტრეფიკინგის განმარტება მოიცავს შიდა და საზღვრებს გარეთ ტრეფიკინგსაც. შესაძლოა, ტრეფიკინგი მხოლოდ ერთ ქვეყანაში განხორციელდეს, მათ შორის მსხვერპლის ქვეყანაში, სამართლებრივად ტრეფიკინგის კვალიფიკაცია ამ გარემოებასაც ითვალისწინებს. ტრეფიკინგის განმარტება განსაზღვრავს მოძრაობას, როგორც ერთ შესაძლო საშუალებას, რომელიც "მოქმედების" ელემენტს აკმაყოფილებს. ისეთი ტერმინები, როგორცაა "მიღება" და "შეფარება" კი ნიშნავს, რომ ტრეფიკინგი არ გულისხმობს მხოლოდ მსხვერპლის გადაადგილება-გადაყვანას ერთი ადგილიდან მეორეზე მისი ექსპლუატაციის მიზნით, არამედ მსხვერპლის მიმართ ექსპლუატაციის პირობების შენარჩუნებას.<sup>11</sup>

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ყოველთვის აღიარებდა, რომ პირადი თავისუფლების ხელშეუხებლობა არარელევენტურს ხდის

<sup>8</sup>ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულთა ნაბრძოლის შესახებ გაეროს კონვენციის ოქმი, მუხლი 2

<sup>9</sup>ინფორმაცია ხელმისაწვდომია <https://www.unodc.org/unodc/en/organized-crime/intro/UNTOC.html>

<sup>10</sup>იქვე

<sup>11</sup>იქვე

შინაარსობრივად ისეთ შემთხვევას, როდესაც პირადი თავისუფლების ელემენტი ამოღებულია ტრეფიკინგის დეფინიციიდან. ტრეფიკინგის დეფინიციის "საშუალებების" ელემენტი მოიცავს ამგვარ განმარტებას. 2014 წლის როგორც ტრეფიკინგის ოქმის ავტორები აღნიშნავენ: "მას შემდეგ, რაც დადგინდება, რომ გამოყენებული საშუალება იყო მოტყუება, იძულება, ძალა ან სხვა აკრძალული საშუალება, მსხვერპლის თავისუფალი ნება და თანხმობა შეუსაბამოა და არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს გამომრიცხავ გარემოებად".<sup>12</sup>

ვფიქრობ, აღნიშნული დებულება გარკვეულწილად ანეიტრალურს იმ რისკ-ფაქტორებს, რომლებიც მსხვერპლის იდენტიფიცირებასთანაა დაკავშირებული, მაგ. ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლნი შეიძლება მიეჩვიონ ექსპლუატაციას, ასეთ სიტუაციაში ყოფნას და ფიქრობდნენ, რომ უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებიან, ვიდრე აქამდე იყვნენ; მსხვერპლს შესაძლოა ადამიანით მოვაჭრესთან რაიმე სახის კავშირი/ახლოობა ჰქონდეს მაგ. ოჯახური ან სხვა ტიპის; მსხვერპლი შეიძლება ისე დათანხმდეს 'მსხვერპლად ყოფნას', რომ ამას ვერც იაზრებდეს შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ან იმდენად შენიღბული იყოს ეს პირობები ადამიანით მოვაჭრეთა მხრიდან, რომ ვერ ამოიცნოს; აშკარა თანხმობა შეიძლება კულტურულ ფაქტორებსაც ეფუძნებოდეს, მაგ. თუკი საზოგადოების იმ ნაწილს შეეხება საქმე, სადაც ოჯახში ნებისმიერი გადაწყვეტილების მიმღებად ითვლება კაცი და ქალებსა და გოგონებს ეზღუდებათ თავიანთი უფლებები; გასათვალისწინებელია ასევე ფსიქოლოგიური ფაქტორებიც, შიში, სირცხვილის გრძნობა, უუნარობა იმის გასამკლავებლად, რაც შეემთხვებათ. ის ფაქტი, რომ მსხვერპლები შესაძლოა სულაც არ მიიჩნევდნენ თავს ასეთად, ქმნის მათი რე-ტრეფიკინგის/ხელახლა ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლობის რისკს, შემდგომში კი ისინი ხელახლა არ ისურვებენ გამოძიებასთან თანამშრომლობას და რა თქმა უნდა არ დაუპირისპირდებიან იმ ადამიანებს, (ამ შემთხვევაში ადამიანით მოვაჭრეებს) რომლებიც მათთვის 'სარგებლის' მიღების წყაროს წარმოადგენენ. „სისხლისსამართლებრივი დევნა და გამოძიება იშვიათად თუ იწარმოება ეფექტურად მსხვერპლის თანამშრომლობის გარეშე“.<sup>13</sup>

<sup>12</sup>THE ROLE OF 'CONSENT' IN THE TRAFFICKING IN PERSONS PROTOCOL, UNODC, 2014, 95-96;

<sup>13</sup> მსხვერპლის სწრაფი იდენტიფიკაციის მნიშვნელობა ტრეფიკინგის სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიებისთვის, პროაქტიული გამოძიება და ტრეფიკინგის შემთხვევების პროაქტიული გამოვლენა, ირინე ხერხელიძე, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N3, 2018, 16; Gallagher, Anne; Holmes, Paul, Developing an Effective Criminal Justice Response to Human Trafficking: Lessons from the Front Line, 18 International Criminal Justice Review, 2008, 318, 329.

### 1.3 ადამიანებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) ევროპული სივრცე

2008 წელს ძალაში შევიდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპული კონვენცია, რომელიც პალერმოს ოქმის მსგავსად აყალიბებს ტრეფიკინგის ცნებას, კერძოდ კი კონვენციის მე-4 მუხლი; ასევე პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის მსგავსად, მსხვერპლის თანხმობა ვერ ახდენს ზეგალენას დანაშაულის კვალიფიკაციაზე, რადგან ამავე მუხლის „ბ“ პუნქტის მიხედვით მუქარით, ძალის ან იძულების გამოყენებით, მოტაცებით, თაღლითობით, მოტყუებით, ძალაუფლების ბორატად გამოყენებით, უმწეო მდგომარეობით სარგებლობით მიღწეული თანხმობა ნამდვილი ვერ იქნება.<sup>14</sup> ეს კონვენცია ევროპის საბჭოს ფარგლებში მიღებული პირველი დოკუმენტი არ არის, რომელიც მონობის ახალი ფორმისაგან ადამიანის დაცვისკენ არის მიმართული.<sup>15</sup>

ადამიანით ვაჭრობა ადამიანის ფუნდამენტური უფლებების უხეში დარღვევაა და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის უკიდურესად ანგარებიანი ფორმა. ამგვარად, დანაშაულის ეს ფორმა აკრძალულია ევროკავშირის ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიით (მუხლი 5.3) და განსაზღვრულია, როგორც ორგანიზებულ დანაშაულთა განსაკუთრებით სერიოზული ფორმა (83-ე მუხლი), რომელიც კავშირშია საიმიგრაციო პოლიტიკასთან (მუხლი 79). ადამიანით ვაჭრობის საკითხის რეგულირება ევროპულ საკანონმდებლო სივრცეში განხორციელდა ყოვლისმომცველი, გენდერ-სპეციფიკური და მსხვერპლის დაცვაზე ორიენტირებულ სამართლებრივ პოლიტიკურ ჭრილში, რაც განისაზღვრა ევროპის საბჭოს დირექტივით 2011/36 / EU.<sup>16</sup>

დირექტივის მეორე მუხლის მიხედვით სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ საჭირო ზომები, რათა ადამიანით ვაჭრობის აქტები დასჯადი იყოს; რაც შეეხება იმას, თუ რას მოიცავს აღნიშნული აქტები, მისი განმარტება თითქმის იდენტურია, რაც ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ გაეროს კონვენციის ოქმის მიხედვით ადამიანით ვაჭრობა/ტრეფიკინგი“-

<sup>14</sup> ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, მუხლი 4

<sup>15</sup> ხუციშვილი ქ., ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვა და დახმარება საქართველოში ევროპის საბჭოს კონვენციის მიხედვით, ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები სტატიათა კრებული, თბილისი, 2010, 237

<sup>16</sup> ევროპის საბჭოს დირექტივით 2011/36 / EU

ის განმარტებებშია მოცემული; დირექტივა ცალკე გამოყოფს ექსპლუატაციის უფრო კონკრეტულ განმარტებას და ამ ქმედებაში მოიაზრებს სხვის გამოყენებას პროსტიტუციაში ან სხვა სექსუალურ ქმედებებში ჩაბმას, იძულებით შრომას ან მომსახურებას, იძულებით მათხოვრობას, მონურ ან მსგავს პირობებში ჩაყენებას, დანაშაულში ჩაბმის ან ორგანოების ამოჭრის გზით.<sup>17</sup> დირექტივის მესამე მუხლი კი ადგენს, რომ წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ სათანადო ზომები, რომ დასჯადი იყოს ამ დანაშაულის მცდელობა, დახმარება, წაქეზება.<sup>18</sup> პალერმოს კონვენციის მსგავსად, დირექტივაც ადგენს, რომ მსხვერპლის თანხმობა კვალიფიკაციაზე არ ახდენს ზეგავლენას.<sup>19</sup>

გარდა დასახელებული დოკუმენტებისა, ადამიანით ვაჭრობასთან მიმართებით მნიშვნელოვანია ასევე ევროკავშირის საბჭოს ჩარჩო გადაწყვეტილება ტრეფიკინგთან ბრძოლის შესახებ; „ჩარჩო გადაწყვეტილება თითქმის იდენტურად ასახავს პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის დეფინიციით გათვალისწინებულ გარემოებებს, მაგ. ბავშვის მიმართ ტრეფიკინგის დანაშაულის კვალიფიკაციისთვის აუცილებელი არაა გამოყენებული იყოს პირველი პარაგრაფით გათვალისწინებული რომელიმე საშუალება; ასევე ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლის თანხმობას ექსპლუატაციაში მისი ჩართვის შესახებ მნიშვნელობა არ აქვს, თუ პირველი პარაგრაფით განსაზღვრული რომელიმე საშუალება იქნა გამოყენებული. თუმცა განსხვავებით პალერმოს კონვენციისგან, ჩარჩო გადაწყვეტილების დეფინიცია არ მოიცავს ორგანოთა ამოღებას, როგორც ტრეფიკინგის ერთ-ერთ ფორმას.“<sup>20</sup>

დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ საერთაშორისო სივრცეში დანაშაული ერთიანად მძიმედ აღიქმება; მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო დოკუმენტები ერთმანეთთან თანხვედრაში და ჰარმონიზებულად იყოს, ეს უწყობს მსოფლიო მასშტაბით ერთიანი სტანდარტების დანერგვას და სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის გაძლიერებას, თანამშრომლობა კი აუცილებელია ისეთი დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად, როგორც ადამიანით ვაჭრობა, რადგან მასთან ბრძოლა სახელმწიფოთა მხრიდან ძალიან დიდ ძალისხმევას მოითხოვს. რაც შეეხება საქართველოს, შესაძლებელია

---

<sup>17</sup>იქვე

<sup>18</sup>იქვე

<sup>19</sup>იქვე

<sup>20</sup>მესხი მ., 2014, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სამართლებრივი ასპექტები, მასთან ბრძოლის მეთოდები, გამოცდილება და პერსპექტივათა ხედვა, სადისერტაციო ნაშრომი, ივ. ჯავახიშვილის სახ. -ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 39

ითქვას, რომ მის მიერ შექმნილი კანონმდებლობა თანხვედრაშია და თითქმის მსგავსია ევროპულ სივრცეში არსებულ სტანდარტებთან ასევე პალერმოს დამატებით ოქმთან ადამიანით ვაჭრობის ცნებასთან მიმართებით.

#### 1.4 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა

კონვენციის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით "არავინ შეიძლება იმყოფებოდეს მონობაში ან ყმობაში". ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-4 მუხლი, კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებთან ერთად იცავს დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტურ ღირებულებებს<sup>21</sup>. საქმეში *Siliadin v. France*, სილიადინი 15 წლის ტოგოელი გოგონა საფრანგეთში ჩამოვიდა ტურისტული ვიზიტით; ის პარიზში, ერთ-ერთ ოჯახში ცხოვრობდა და მუშაობდა ანაზღაურების გარეშე წლების განმავლობაში; ოჯახის წევრებმა მას მოტყუებით ჩამოართვეს პასპორტი და დაჰპირდნენ, რომ სკოლაში ჩაწერდნენ და მის საიმიგრაციო საკითხებს მიხედავდნენ. მას აიძულებდნენ, რომ ემუშავა დამლაგებლად, მიძად ყოველ დღე 15 საათის განმავლობაში. როგორც განმცხადებელი მიუთითბდა, საფრანგეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ უზრუნველყოფდა საკმარის და ეფექტურ დაცვას 'ყმობისგან', სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებელი იძულებითი შრომის მსხვერპლი იყო, რითაც დაირღვა კონვენციის მე-4 მუხლი, გარდა ამისა სახელმწიფოს აქვს პოზიტიური ვალდებულება, გაატაროს შესაბამისი საკანონმდებლო რეფორმა, რომ კონვენციის მე-4 მუხლით გათვალისწინებული ქმედებები დასჯადი იყოს.<sup>22</sup>

საქმე *C.N. v United Kingdom* ეხებოდა უგანდის მოქალაქე ქალს, რომელმაც ბიძაშვილის დახმარებით მუშაობა დაიწყო მოხუცი წყვილის მომვლელად; მისი განცხადებით ის დღე და ღამე მუშაობდა და მისი ანაზღაურება ეგზავნებოდა მის დამსაქმებელ აგენტს, რომელმაც თანხის გარკვეული ოდენობა მის ბიძაშვილს გადასცა, თუმცა ქალბატონს არ მიუღია რაიმე მნიშვნელოვანი თანხა, ამ პერიოდის განვამლოვაში კი მას პასპორტი ჩამორთმეული ჰქონდა. მას

<sup>21</sup>ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 26 ივლისის განჩინება საქმეზე *Siliadin v. France*, პარ 112

<sup>22</sup>იქვე, პარ 89

ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემა შეექმნა, თუმცა თავშესაფარზე უარი უთხრეს; მისმა ადვოკატმა მიმართა პოლიციას გამოძიების დასაწყებად, თუმცა შესაბამისმა ჯგუფმა გამოძიების საფუძველზე 2007 წელს განაცხადა, რომ ტრეფიკინგი არ დგინდებოდა 2004 წლის თავშესაფრისა და საიმიგრაციო აქტის გათვალისწინებით, იგი არ მოიცავდა ყმობას; 2010 წლის კი ძალაში შევიდა ახალი აქტი, რომელიც მოიცავდა მონობის, იძულებითი და სავალდებულო შრომის და მათ შორის ყმობის აკრძალვასაც, თუმცა მას არ ჰქონდა რეტროაქტიური ეფექტი. რადგანაც არ არსებობდა შესაბამისი საკონმდებლო რეგულირება ყმობის აკრძალვაზე, წარმოებული გამოძიებაც იყო არაეფექტური (C.N. v United Kingdom, 80-81); გარკველწილად აქ იკვეთება სახელმწიფოს მხრიდან პოზიტიური ვალდებულების დარღვევა, რომ არ მოხდა კონვენციის მე-4 მუხლის სრულყოფილად ინკორპორირება 2009-2010 წლებამდე, აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია, სახელმწიფოებმა კონვენციით გათვალისწინებული დებულებების იმპლემენტაცია სრულყოფილად მოახდინონ და დაანერგონ მასთან ბრძოლის ეფექტური მექანიზმები.

კონვენციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი კრძალავს იძულებით და სავალდებულო შრომას, რაც შეეხება მე-4 მუხლის მე-3 პუნქტს, მისი მიზანი არ არის შეზღუდოს მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უფლება, არამედ მხოლოდ გამონაკლის გარემოებებს ასახელებს, რაც იძულებით ან სავალდებულო შრომად და არ ჩაითვლება. რაც შეეხება მონობისა და ყმობის აკრძალვას, ორგანიზებულ დანაშაულთა ეს ფორმა ძალიან მძიმე და უხეშია, განსხვავებით კონვენციის სხვა მატერიალური მუხლებისგან, მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი არ ადგენს გამონაკლისს ამ წესიდან, ასევე კონვენციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად მისგან არავითარი გადახვევა არ დაიშვება, იმ შემთხვევაშიც კი, როცა საგანგებო მდგომარეობაა და საფრთხე ექმნება ხალხთა სიცოცხლეს.<sup>23</sup>

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკმე, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა არის რანცევი კვიპროსისა და რუსეთის წინააღმდეგ. საკმე ეხებოდა ოქსანა რანცევას, რომელიც კვიპროსში წავიდა სამუშაოდ კაბარეს მსახიობად. ამასთან, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი იყო, რომ ასეთ სიტუაციაში 'მსახიობები' პროსტიტუციაში იყვნენ ჩაბმულნი. რამდენიმე კვირაში მან დატოვა ის ადგილი, სადაც ის მუშაობდა, მაგრამ მისი დამსაქმებელი მას უთვალთვალებდა და პოლიციაში მიიყვანა იმ იმედით, რომ

---

<sup>23</sup>ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 13 ნოემბრის განჩინება საკმეზე *c.n. v. the united kingdom*, პარ 65

დააკავებდნენ და მოხდებოდა მისი ექსტრადირება. პოლიციამ ნახა, რომ მას ჰქონდა მუშაობის უფლება და დააბრუნა დამსაქმებელთან; მოგვიანებით იმ ღამეს ის ცდილობდა გაქცევას იმ ადგილიდან, სადაც მის დასაქმებელს ჰყავდა და გაქცევის მცდელობისას აივნიდან გადავარდა და დაიღუპა. მისი დაღუპვის ამოუცნობი გარემოებების მიუხედავად, ადამიანით ვაჭრობის შესაძლო ფაქტზე გამოძიება არ დაწყებულა.<sup>24</sup>

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-4 მხულის დარღვევა და აღნიშნა, რომ ეროვნული სამართალი უნდა უზრუნველყოფდეს მსხვერპლთა და პოტენციურ მსხვერპლთა ეფექტურ დაცვას; როდესაც ხელისუფლების ორგანოებს ეცნობებათ ან გარემოება ქმნის იმის სარწმუნო ეჭვს, რომ ადამიანი არის ან შესაძლოა გახდეს ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლი, მათ უნდა მიიღონ სათანადო ზომები მის დასაცავად. ამ საქმის გარემოებების გათვალისწინებით სასამართლომ დაასკვნა, რომ პოლიციელებს ჰქონდათ საკმარისი გარემოება, რომ საფუძლიანად ევარაუდათ ოქსანა რანცევა იყო ტრეფიკინგის მსხვერპლი ან ემუქრებოდა ეს საფრთხე; რადგანაც ხელისუფლების მხრიდან არ მიღებულა ოქსანა რანცევას დასაცავად არანაირი ზომა, მან დაარღვია პოზიტიური ვალდებულება, შესაბამისად კონვენციის მე-4 მუხლიც. რაც შეეხება რუსეთის ხელისუფლებას, მისი მხრიდანაც დაირღვა კონვენციის მე-4 მუხლი, რადგან ქალბატონი რანცევასა და სხვა მსხვერპლთა რუსეთიდან გაყვანის საქმეს არ იძიებდა.<sup>25</sup>

რაც შეეხება დებულებათა განმარტებას, ზოგადად სასამართლოს მიაჩნია, რომ ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების ინტერპრეტაცია მხოლოდ აღნიშნული კონვენციით არ ხდება. როგორც თავად სასამართლო აცხადებს, კონვენციის დებულებების გამოყენება ცალკე, განყენებულად, 'ვაკუუმში' არ ხდება და როგორც საერთაშორისო ხელშეკრულება, ის უნდა განიმარტოს 1969 წლის 23 მაისს, ვენის კონვენციაში ხელშეკრულების შესახებ განსაზღვრული ინტერპრეტაციის წესების გათვალისწინებით.<sup>26</sup> ამ უკანასკნელის მიხედვით, "ხელშეკრულება უნდა განიმარტოს კეთილსინდისიერად, ჩვეულებრივი მნიშვნელობის შესაბამისად, რომელიც ხელშეკრულების ტერმინებს უნდა მიეცეს მათ კონტექსტში და ასევე

<sup>24</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 7 იანვრის განჩინება საქმეზე *Rantsev v. Cyprus and Russia*,

<sup>25</sup> ლიჩი ფ, როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, მესამე გამოცემა, თბილისი, 2013, 282

<sup>26</sup> იქვე

გამომდინარე ხელშეკრულების ობიექტიდან და მიზნებიდან"(31-ე მუხლი ვენის კონვენციის).<sup>27</sup> ასევე მნიშვნელოვანია, რომ მხედველობაში მიღებულ იქნას ნებისმიერი წესი, კანონი, საერთაშორისო კანონმდებლობა, რომელიც საქმესთან დაკავშირებით რელევანტურია და რომელთა ნაწილსაც ის თავად ქმნის. კონვენციის, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზის მიზანია, რომ მასში არსებული ნორმები განიმარტოს იმგვარად, რომ დაცვის მექანიზმები იყოს პრაქტიკული და ეფექტური( Rantsev v. Cyprus and Russia §§ 273-275). კონვენციის მე-4 მუხლით გათვალისწინებული კონცეფციების ინტერპრეტაციისას სასამართლო ეყრდნობა საერთაშორისო ინსტრუმენტებს, როგორცაა 1926 წლის მონობის შესახებ კონვენცია (Siliadin v. France, § 122), მონობისა და მონებითვაჭრობის გაუქმების შესახებ (C.N. და V. France, § 90), ევროპის საბჭოს კონვენცია ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, პალერმოს კონვენცია Rantsev v. Cyprus and Russia §282).<sup>28</sup>

რაც შეეხება უშუალოდ ადამიანით ვაჭრობის დეფინიციას, სასამართლოს მიერ გამოკვეთილი მნიშვნელოვანი ელემენტები არის ის, რომ ადამიანებით მოვაჭრე მათ ეპყრობა, როგორც ნივთს, რომელიც შეიძლება ყიდვა-გაყიდვის ობიექტი გახდეს იძულებითი შრომის მიზნით, ხშირად მიზერული ანაზღაურების პირობით ან ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე; ანაზღაურების განსაზღვრა შეფასებითი კრიტერიუმია ყველა სახელმწიფოსთვის ბუნებრივია და მაგალითად, რაც საქართველოს მოქალაქისათვის `ნორმალური ანაზღაურებაა, ის განვითარებული ქვეყნის მოქალაქისათვის (იქ ცხოვრების დონიდან გამომდინარე) შესაძლებელია არაადეკვატურად ჩაითვალოს. ამიტომ არ უნდა შეიქმნას ისეთი ვითარება, როცა უცხოეთში სამუშაოდ წასული საქართველოს მოქალაქე კმაყოფილია თავისი შრომის ანაზღაურებით, მაგრამ ეს ანაზღაურება იმ ქვეყანაში შეფასდეს ადამიანის ექსპლუატაციად.<sup>29</sup>

ყველაზე ხშირი მსხვერპლის მიმართ სექსუალური ექსპლუატაციის მიზანია, თუმცა შესაძლებელია მათ სხვა ტიპის სამუშაოც დააკისრონ. ეს ქმედება ასევე გულისხმობს მსხვერპლთა მკაცრ ზედამხედველობას, გაკონტროლებას, ძალადობისა და მუქარის გამოყენებას და მათ გაუსაძლის

<sup>27</sup>ვენის კონვენცია სახელშეკრულებო სამართლის შესახებ, 31-ე მუხლი

<sup>28</sup>Guide on Article 4 of the European Convention on Human Rights, Prohibition of slavery and forced labour, 6, [https://www.echr.coe.int/Documents/Guide\\_Art\\_4\\_ENG.pdf](https://www.echr.coe.int/Documents/Guide_Art_4_ENG.pdf)

<sup>29</sup>ნაჭყებია გ., გორაშვილი გ., მამილაშვილი გ., თოდუა ნ., გოგშელიძე რ., სულაქველიძე დ., დვალაძე ი., ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბილისი, 2012, 291

პირობებში ყოფნას. ექვგარეშა, რომ ტრეფიკინგი ლახავს ადამიანის ღირსებასა და ფუნდამენტურ თავისუფლებებს, რაც ვერ იქნება შეთავსებადი დემოკრატიულ საზოგადოებასთან და კონვენციით გათვალისწინებულ ღირებულებებთან (Rantsev v. Cyprus and Russia).<sup>30</sup>

## 1.5 ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგის) საქართველოს კანონმდებლობით

საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში, ტრეფიკინგთან დაკავშირებით პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ის შესაბამისი მუხლები, რომლებიც ადამიანით ვაჭრობას ეხება, ესენია 143<sup>1</sup>, 143<sup>2</sup>, 143<sup>3</sup>-ე მუხლები. „საქართველოში 2006 წლიდან სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების შედეგად ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის დეფინიცია სრულ შესაბამისობაში იქნა მოყვანილი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციასა და „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის „ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ“ ოქმთან. ორივე საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირება საქართველომ 2006 წელს მოახდინა“.<sup>31</sup> სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილი სანქციებისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაცვის მექანიზმების შემოღების პარალელურად 2006 წლის 28 აპრილს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, რომელიც განსაზღვრავს საქართველოში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძვლებს, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებში სახელმწიფო ორგანოთა,

<sup>30</sup>იქვე

<sup>31</sup>ინფორმაცია ხელმისაწვდომია <http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/343>

თანამდებობის პირთა და იურიდიულ პირთა უფლებამოსილებებს, ვალდებულებებსა და მათი საქმიანობის კოორდინაციის წესს, აგრეთვე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა სამართლებრივ მდგომარეობას, მათი სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს. კანონი ითვალისწინებს ასევე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლ, დაზარალებულ არასრულწლოვანთა სოციალური და სამართლებრივ დაცვას, დახმარებასა და რეაბილიტაციას, რომლის მიზანია სპეციალური სამართლებრივი რეჟიმის შემოღება ადამიანით ვაჭრობის არასრულწლოვანი მსხვერპლისა და დაზარალებულის დასაცავად. აღნიშნული ცვლილებები განხორციელდა ევროპის საბჭოს ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ექსპერტთა ჯგუფის (GRETA) რეკომენდაციების საფუძველზე.<sup>32</sup> რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ და პალერმოს დამატებით ოქმით გათვალისწინებულ დეფინიციას, თითქმის იდენტურია შინაარსობრივად. გარდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შემაბმისი მუხლებისა, ტრეფიკინგზე რეაგირების თვალსწრისით 2006 წელი გარდამტეხი იყო, რადგან ძალაში შევიდა საქართველოს კანონი ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.<sup>33</sup> აღნიშნული კანონი ადამიანით ვაჭრობის უმნიშვნელოვანეს საკანონმდებლო მოწესრიგებას ითვალისწინებს,<sup>34</sup> რაც მოიცავს ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმებს, სახელმწიფო ორგანოების კომპეტენციებს ამ სფეროში, ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა, დაზარალებულთა სამართლებრივ დაცვას, დახმარებასა და რეაბილიტაციას.

---

<sup>32</sup>ინფორმაცია ხელმისაწვდომია <http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/344>

<sup>33</sup> საჭიროებათა შეფასება: ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, 2016, 8

<sup>34</sup> ხარებაშვილი მ., ტრეფიკინგი, როგორც ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული - გამოწვევები და პერსპექტივები, სისხლის სამართლის ქრონიკები, 2018, 61

## თავი II. მონობა, იძულებითი შრომა

### 2.1 ტრეფიკინგისა და მონობის, იძულებითი შრომის ურთიერთმიმართება და განსხვავება, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა

მონობის განმარტებისას პირველ რიგში უნდა მოვიხმოთ ერთა ლიგის ეგიდით მიღებული 1926 წლის საერთაშორისო კონვენცია „მონობისა და მონებით ვაჭრობის გაუქმების შესახებ,“ რომელიც ითვლება ადამიანის უფლებათა სფეროში პირველ საერთაშორისო ხელშეკრულებად. ამ დოკუმენტში მონობა განმარტებულია, როგორც პირის სტატუსი ან მდგომარეობა, როდესაც მის მიმართ ხორციელდება საკუთრების უფლება, ნებისმიერი შესაძლო ფორმით.<sup>35</sup> სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-8 მუხლი და ევროპული კონვენციის მე-4 მუხლი თითქმის იდენტურ შინაარსს აყალიბებს მონობის აკრძალვასთან დაკავშირებით; განსხვავებით ამ ორი უკანასკნელისა, 1926 წლის საერთაშორისო კონვენცია მონათვაჭრობის დეფინიციას ითვალისწინებს, რაც გულისხმობს, რომ მონათვაჭრობა მოიცავს ყველა ქმედებას, როგორცაა პირის მძევლად აყვანა, შექმნა ან "განკარგვა", ყველა ეს ქმედება პირის გაყიდვის ან გაცვლის მიზნით, ასევე ყველა ქმედება, რომელიც დაკავშირებულია მონათვაჭრობასა და მათ გადაცემასა და გაცვლასთან.<sup>36</sup> სავარაუდოდ, "საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ყველა უფლებამოსილება" მიზნად ისახავდა არა მარტო აფრიკაში არსებულ მონათვაჭრობის ფორმებს, არამედ მონობის უფრო ფართო და ყოვლისმომცველი განმარტებასა და მსგავსი ბუნებისა და ეფექტის მქონე სხვა გამოვლინებებსაც. მონობის ტრადიციული განმარტებით, იგი გაიგივებულია 'ნივთებით ვაჭრობასთან', რადგან მონათვაჭრობის შექმნა მათ მოქცეოდა, როგორც პირად საკუთრებას, როგორცაა ავეჯი, საქონელი, გაყიდა ისინი ან სხვისთვის გადაეცა. მსგავსი შემთხვევები დღესდღეობით პრაქტიკაში ძალიან იშვიათია, ამიტომაც მესაკუთრეობის კრიტერიუმი შეიძლება ნაკლებად რელევანტური იყოს და შესაძლოა ითქვას ჩანაცვლდეს სხვა მახასიათებლებით, როგორცაა სრული კონტროლის განხორციელება ადამიანზე, რაც ნაგულისხმევად ითვლება მონობის კონვენციის ფორმულირებაში -

<sup>35</sup>1926 წლის საერთაშორისო კონვენცია „მონობისა და მონებით ვაჭრობის გაუქმების შესახებ,“ მუხლი 1

<sup>36</sup>იქვე, მუხლი 1

"საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა უფლება".<sup>37</sup> თანამედროვე კონტექსტში მონობის ქვეშ მყოფ ადამიანთა გარემოებებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მონობის პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის, მათ შორის მნიშვნელოვანი გარემოებებია: (ა) თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვის ხარისხი, (ბ) პირადი საკუთრების უფლების შეზღუდვის ხარისხი და (გ) ინფორმირებული თანხმობის არსებობა და მხარეებს შორის ურთიერთობის ბუნების სრული გაგება.<sup>38</sup>

რაც შეეხება იძულებით შრომას, ევროპული კონვენცია და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი მასაც ერთნაირად განმარტავს, ასევე ორივე დოკუმენტი აკეთებს ჩამონათვალს გამონაკლისებისა. გარდა ამ დოკუმენტებისა, შეგვიძლია მოვიხმოთ 1930 წლის კონვენცია იძულებითი ან სავალდებულო შრომის შესახებ, რომელიც იძულებით შრომას განმარტავს, როგორც „ყველა სამუშაოსა და მომსახურებას, რომელიც სასჯელის მუქარის წესით ავალდებულებს ნებისმიერ პიროვნებას და, რომელსაც აღნიშნული პიროვნება ნებაყოფლობით არ შეასრულებდა.“<sup>39</sup> გარდა იმ გამონაკლისებისა, რასაც ზემოთ ხსენებული ორი დოკუმენტი გამოყოფს, კონვენცია დამატებითი გამონაკლისის სახით აღნიშნავს „საზოგადო ხასიათის წვრილმან სამუშაოებს...“, რაც შესაძლოა იყოს „მცირე მეურნეობები, რომელიც თემის წევრებისაგან შედგება და უშუალოდ ამ თემის ინტერესებს ემსახურება“.<sup>40</sup> გარდა ამ დოკუმენტისა, შეგვიძლია ასევე დავასახელოთ იძულებითი შრომის გაუქმების შესახებ 1957 წლის კონვენცია; ექსპერტთა კომიტეტი მიიჩნევს, რომ ეს უკანასკნელი დოკუმენტი ეყრდნობა 1930 წლის კონვენციას და მის მნიშვნელობას.<sup>41</sup> 1957 წლის კონვენციის 1-ლი მუხლის მიხედვით კი „იძულებითი და სავალდებულო შრომა არ უნდა გამოიყენებოდეს, როგორც (ა) პოლიტიკური ზეწოლის ან აღზრდის საშუალება, როგორც დამსჯელობითი ღონისძიება განსხვავებული პოლიტიკური აზრის გამოხატვისთვის და/ან

---

<sup>37</sup>Abolishing Slavery and its Contemporary Forms, David Weissbrodt and Anti-Slavery International, United Nations New York and Geneva 2002, 13

<sup>38</sup>იქვე

<sup>39</sup>Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, Abolishing Slavery and its Contemporary Forms, United Nations New York and Geneva 2002, 12

<sup>40</sup>იძულებითი შრომა და ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) სასამართლო გადაწყვეტილებების პრეცედენტების კრებული, ტრენინგის სახელმძღვანელო მოსამართლეებისათვის, პროკურორებისა და პრაქტიკოსის ადვოკატებისათვის, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, 2010, 11 [https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed\\_norm/---declaration/documents/publication/wcms\\_142636.pdf](https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_norm/---declaration/documents/publication/wcms_142636.pdf)

<sup>41</sup>იქვე

არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური სისტემის საწინააღმდეგო იდეოლოგიური მრწამსის გაზიარებისთვის; (ბ) ეკონომიკური განვითარების საჭიროებისათვის სამუშაო ძალის მობილიზაციისა და გამოყენების მეთოდი; (გ) შრომის დისციპლინის დაცვის საშუალება; (დ) დასჯის საშუალება გაფიცვებში მონაწილეობისთვის; (ე) დისკრიმინაციის საშუალება რასობრივი, სოციალური, ეროვნული ნიშნების ან სარწმუნოების მიხედვით.<sup>42</sup>

1926 მონობის კონვენცია აღიარებს, რომ იძულებითი შრომა შეიძლება "მონობის მსგავს პირობებში განვითარდეს". როგორც 1930 წლის კონვენცია განსაზღვრავს იძულებითი შრომა წარმოადგენს "ყოველგვარ სამუშაოს ან სამსახურს, რომელიც რაიმე სასჯელის მუქარით მოეთხოვება პირს, და რომელსაც ეს პირი ნებაყოფლობით არ ასრულებს", იძულებითი შრომას კი მონობისგან სწორედ საკუთრების უფლების განხორციელება განასხვავებს; მონობა ვერ გვექნება სახეზე თუკი არ ხდება პირის მიმართ საკუთრების უფლების განხორციელება, მისი, როგორც საკუთრების, ნივთის აღქმა და განკარგვა.<sup>43</sup>

საქმეში სილიადინი საფრანგეთის წინააღმდეგ, სასამართლოს მოჰყავს 1926 მონობის კონვენციის კლასიკური განმარტება. ამ საქმეში განმცხადებელი იყო თვრამეტი წლის ტოგოელი გოგონა, რომელსაც წლების განმავლობაში ოჯახში მოსამსახურედ ამუშავებდნენ დღეში 15 საათს დასვენების დღეების გარეშე. სასამართლომ დაადგინა, რომ ის იმყოფებოდა ყმობაში და იყო იძულებითი შრომის მსხვერპლიც, მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელს შეზღუდული ჰქონდა პირადი თავისუფლება, იგი არ იმყოფებოდა მონობაში, რადგან არ დგინდებოდა საკუთრების უფლების განხორციელება, როგორც საგნის მიმართ ხორციელდება.<sup>44</sup>

საქმეში, სადაც არასრულწლოვანი გოგონა იყო სავარაუდო მსხვერპლი ტრეფიკინგის, სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ საქმეში არ იყო საკმარისი მტკიცებულება იმის შესახებ, რომ იგი მონობაში იმყოფებოდა. მან დაადგინა, რომ, თუნდაც ის ფაქტი, რომ განმცხადებლის მამამ გარკვეული ოდენობის თანხა მიიღო ქორწინების სანაცვლოდ, მიღებული ოდენობის თანხის გათვალისწინებით ეს შემთხვევა ვერ იქნება მონათვაჭრობა და ვერ მიეცემა

<sup>42</sup>იქვე

<sup>43</sup> Bellagio-Harvard Guidelines on the Legal Parameters of Slavery, 2

<sup>44</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 26 ივლისის განჩინება საქმეზე *Siliadin v. France*, პარ 122

მონობისთვის დამახასიათებელი ნიშანი. ამ შემთხვევაში სასამართლომ აღნიშნა, რომ კულტურულ-ტრადიციული მრავალფეროვნებიდან გამომდინარე სხვადასხვა საზოგადოებაში ქორწინებას განსხვავებული დატვირთვა აქვს; ეს გადახდა შეიძლება ოჯახისთვის ყოფილიყო, როგორც მისაღები საჩუქარი.<sup>45</sup> სასამართლომ სარჩელი დასშვებად ცნო კონვენციის მე-3 მუხლის ნაწილში და დაადგინა, რომ წარმოებული გამოძიება არ იყო ეფექტური. შესაძლებელია, მომჩივანის მიერ წარმოდგენილი გარემოებების გათვალისწინებით ადამიანით ვაჭრობის დანაშაულიც ყოფილიყო სახეზე, თუმცა საქმეში არსებული მტკიცებულებები არ აღმოჩნდა საკმარისი ამის დასამტკიცებლად. საბოლოოდ, შესაძლოა ითქვას, რომ სახელმწიფოთა მიერ ამ დანაშაულთან ბრძოლის მექანიზმები უნდა იყოს ეფექტური და პრაქტიკული. ფაქტია, რომ არასაკმარისი მტკიცებულებების გამო სასამართლო შესაძლოა შეიზღუდოს მსგავსი დანაშაულის დადგენასთან მიმართებით; ორგანიზებულ დანაშაულთა ხასიათიდან გამომდინარე, მის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები საკმაოდ რთული და კომპლექსურია, ამიტომ მნიშვნელოვანია სახელმწიფოები დიდ ძალისხმევას დებდნენ მის წინააღმდეგ საბრძოლველად და ასრულებდნენ საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მთელი რიგი ვალდებულებების შესრულებას, მათ შორის ეფექტური გამოძიებისა და თანამშრომლობის წარმოებას.

კონვენციის მიზნებისათვის ყმობა ნიშნავს მომსახურების იძულებას, და უნდა იყოს დაკავშირებული მონობის კონცეფციასთან, რაც შეეხება "ყმობის" კონცეფციას, მის აკრძალვაში მნიშვნელოვანია თავისუფლების შეზღუდვის მძიმე ფორმა; იგი მოიცავს ასევე იძულებით სხვისთვის მომსახურების გაწევას, სხვის საკუთრებაში ცხოვრებას და უუნარობას, რომ შეცვალოს ეს მდგომარეობა.<sup>46</sup> სასამართლომ აღნიშნა, რომ ყმობა არის იძულებითი ან სავალდებულო შრომის უფრო მძიმე ფორმა. მათი განმასხვავებელი ნიშანი კი შესაძლოა იყოს მსხვერპლთა განცდაში, განსხვავებით იძულებითი შრომისა, ყმობის შემთხვევაში მსხვერპლები განიცდიან, რომ მათი მდგომარეობა მუდმივია და ვითარება არ შეიცვალება.<sup>47</sup> სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყმობა არის ცალკეული დანაშაული, რომელიც განსხვავდება

<sup>45</sup>ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 31 ივლისის განჩინება საქმეზე *M. and Others v. Italy and Bulgaria*, პარ 161

<sup>46</sup>იქვე

<sup>47</sup>ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1991 წლის 20 თებერვლის განჩინება საქმეზე *N. and V.v. France*, პარ 91

ტრეფიკინგისგან და ექსპლუატაციისაგან, რომელიც მოიცავს მთელ მოქმედებათა კომპლექსს;<sup>48</sup> ყმობის მნიშვნელობა მოიცავს ყმობაში მყოფი ადამიანის იძულებას, რომ სხვას ემსახუროს, იცხოვროს სხვის საკუთრებაში და ვერ ცვლიდეს შექმნილ ვითარებას.<sup>49</sup> საქმეში *United States v. Kozminski*, უზენაესმა სასამართლომ ყმობის განმარტებისას დაასახელა მისი მახსიათობლები, მაგ. ყმობა ნიშნავს პირის ისეთ მდგომარეობას, როდესაც ადამიანს არ აქვს თავისუფლება, თავად განსაზღვროს საკუთარი ქმედებები და ცხოვრების წესი; იძულებითი ყმობა მოიცავს მონობის რამდენიმე მახასიათებელს; შესაძლოა იგულისხმებოდეს ისეთი სიტუაცია, როდესაც ადამიანებს თვითონ კანონი ავალდებულებდეს, რომ სამუშაოს დაუბრუნდნენ; როდესაც ადამიანებს ფიზიკურად არ შეუძლიათ სამსახურის დატოვება, რადგანაც მათ დარაჯობენ; ასევე როდესაც ხდება ფიზიკური და სხვა ტიპის იძულება, ან მათი კომბინაცია, რომ ადამიანები აიძულონ იმუშაონ.<sup>50</sup> რაც შეეხება იძულებას, ამერიკის უზენაესმა სასამართლომ ფართოდ განმარტა იძულების საშუალებები და აღნიშნა, რომ ეს შეიძლება იყოს მუქარა, ფიზიკური დაყოვნება/შეკავება, კანონის ბოროტად გამოყენება ან ნებისმიერი სხვა რამ, რომელიც უქმნის პიროვნებას საშიშროების შეგრძნებას და შიშის საფუძველს. სასამართლო აქვე აღნიშნავს, რომ პირის იძულებას აქვს ადგილი, მაშინაც, როცა ის ისეთ მდგომარეობაშია, რომელშიც განიცდის შიშს, რომ მიადგება სერიოზული ზიანი; იმ შემთხვევაში, როცა დამნაშავე რაიმე სქემით, გეგმით ან სხვაგვარად აფიქრებინებს მას, რომ ასეთი სერიოზული ზიანი შეიძლება დაუდგეს მას. სერიოზული ზიანი, სასამართლოს თქმით, არის ნებისმიერი ზიანი, რომელიც საფრთხეს უქმნის პირის რეპუტაციას, ფიზიკურ ან ფსიქიკურ მდგომარეობას, აგრეთვე ფინანსურ მდგომარეობას ან ნებისმიერ სხვა შემთხვევას, რომელიც აფიქრებინებს გონიერ ადამიანს, რომ განაგრძოს მუშაობა ან მომსახურება, რათა აირიდოს აღნიშნული ზიანი.<sup>51</sup> სასამართლოს აღნიშნული მოსაზრება 2000 წელს აგრეთვე აისახა შეერთებული შტატების “ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის აქტში”.<sup>52</sup>

<sup>48</sup>ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 11 ოქტომბრის განჩინება საქმეზე *C.N. and V. v. France*, პარ 91

<sup>49</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 26 ივლისის განჩინება საქმეზე *Siliadin v. France*, პარ 123-124

<sup>50</sup> *United States v. Kozminski*, 487 U. S. 937

<sup>51</sup> იქვე

<sup>52</sup> US Trafficking Victims Protection Act, section 103 (5);

სილიადინის საქმეში სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებელი იმყოფებოდა ყმობაში, რადგან ის იძულებული იყო ემუშავა, ის იყო არასრულწლოვანი ყოველგვარი რესურსის გარეშე, მოწყვლადი და იზოლირებული, საცხოვრებლის გარეშე; ის ცხოვრობდა იქ, სადაც იძულებით ამუშავებდნენ ყოველგვარი გადაადგილების თავისუფლებისა და თავისუფალი დროის გარეშე.<sup>53</sup>

სიტყვა "იძულებითი" ფიზიკური ან მორალური ძალადობის შთაბეჭდილებას ქმნის. სავალდებულოში არ მოიაზრება ყველანაირი ვალდებულება და კონვენციის მე-4 მუხლის ფარგლებში ვერ მოექცევა მაგ. მოლაპარაკების და კონტრაქტის გაფორმების საფუძველზე წარმოშობილი შრომითი ურთიერთობისას ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა.<sup>54</sup> აუცილებელია, რომ აშკარა იყოს პირის იძულება, მუქარა და ისეთი სამუშაო, რისი შესრულების სურვილიც პირს არ ჰქონდა და მსგავს პირობებს ის არ დათანხმდებოდა. საქმეში *Van der Musselle v. Belgium* ბელგიელი ადვოკატი ამტკიცებდა, რომ მისი უფასო იურიდიული მომსახურება, რომელიც მოეთხოვებოდა მას, როგორც ადვოკატს, ტრენინგის შემადგენელი ნაწილი, არღვევდა კონვენციის მე-4 მუხლს. საბოლოოდ, სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის შუამდგომლობა, მაგრამ თავიდან განიხილა იძულებითი შრომის კონვენციის დარღვევის თითოეული ნაწილი.<sup>55</sup> როგორც სასამართლომ აღნიშნა, ეს იყო დიდი ხნის ტრადიცია ბელგიაში და კონვენციის ხელშემკვრელ ზოგიერთ სხვა სახელმწიფოში, რომლის შესაბამისად იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა ხდებოდა ვოლუნტარულ საწყისებზე იურისტი პროფესიონალების მიერ და არა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული იურიდიული დახმარების პროგრამის ფარგლებში. „სასამართლომ იმსჯელა, რომ განმცხადებლისათვის მოთხოვნილი სამუშაო შესრულებული იყო მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მოქმედების ფარგლებში. ვან დერ მიუსელმა-განმცხადებელმა, უდავოდ თვითონ აირჩია ადვოკატის პროფესია, რომელიც ბელგიაში თავისუფალ პროფესიას წარმოადგენს და, წესების შესაბამისად, რადგანაც ტრადიციით დამკვიდრებული იყო ის ფაქტი,

<sup>53</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 26 ივლისის განჩინება საქმეზე *Siliadin v. France*, პარ 126-127

<sup>54</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1983 წლის 23 ნოემბრის განჩინება საქმეზე *Van der Musselle v. Belgium*, პარ 34

<sup>55</sup> იძულებითი შრომა და ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), სასამართლო გადაწყვეტილებების პრეცედენტების კრებული, ტრენინგის სახელმძღვანელო მოსამართლეებისათვის, პროკურორებისა და პრაქტიკოსი ადვოკატებისათვის შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, 2010

რომ ადვოკატები ხანდახან უფასოდ ახორციელებენ წარმომადგენლობას, ის დასაწყისშივე თანახმა იყო უფასოდ შეეთავაზებინა თავისი მომსახურება, ხარჯების ანაზღაურების გარეშე. იმისათვის, რომ გამხდარიყო ადვოკატი, ის უნდა დათანხმებოდა ასეთ პირობებს. „იძულებითი და სავალდებულო შრომის“ მნიშვნელობიდან გამომდინარე სასამართლომ დაადგინა, რომ: განმცხადებლის წინასწარი თანხმობა არ იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ მასზე დაკისრებული ვალდებულება, იურიდიულ დახმარებასთან დაკავშირებით, წარმოადგენს სავალდებულო შრომას კონვენციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მიზნების შესაბამისად“.<sup>56</sup>

საქმეში *Tibet Mentesh and Others v. Turkey* სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებლები, აეროპორტის თანამშრომლები, რომლებიც ჩიოდნენ ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურებზე, ნებაყოფლობით შეთანხმდნენ პირობებზე, რომლებიც მოიცავდა ოცდაოთხ საათიან სამუშაოს. გარდა ამისა, საქმეში არ იყო მოცემულობა ზეგანაკვეთურზე მუშაობის იძულებაზე ან მუქარაზე. მხოლოდ ის საფრთხე, რომ უარის თქმის შემთხვევაში შესაძლოა ისინი გათავისუფლებულიყვნენ სამუშაოდან, სასამართლოს აზრით არ წარმოადგენს არ წარმოადგენდა იძულებას ან მუქარას კონვენციის მე-4 მუხლის მიზნებისათვის, ამგვარად განმცხადებელმა ვერ დააკმაყოფილა *ratione materiae* კრიტერიუმი და სასამართლომ უარი თქვა სარჩელზე.<sup>57</sup>

ერთის მხრივ მართალია, ზემოთ მოყვანილი საქმეების ან მათი მსგავსი გარემოებების შემთხვევებში არ ხდება კონვენციის მე-4 მუხლის დარღვევა, თუმცა მეორეს მხრივ ფაქტია, რომ ეს გარკვეულწილად შრომით პირობებზე უარყოფითად აისახება; ისეთ ქვეყნებში, სადაც სიღარიბე, სამუშაო ადგილების სიმწირე და მწვავე სოციალური ფონია, გამიზნულად ხდება პოტენციური დასაქმებულებისთვის ნორმაზე დაბალი ანაზღაურების და შრომითი პირობების შეთავაზება; არსებული სოციალური ფონის გათვალისწინებით კი ადამიანები იძულებულები ხდებიან მსგავს პირობებს დათანხმდნენ. ამ მხრივ, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია ეფექტური შრომითი კანონმდებლობის შემუშავება და მისი დაცვის კონტროლი; შესაძლოა ასევე განვიხილოთ მინიმალური სახელფასო ზღვარის დაწესებაც სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით; ასეთ

---

<sup>56</sup>ინფორმაცია ხელმისაწვდომია <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1---0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11-11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL4.3&d=HASH16962e6e5f360cc5d20325.6&x=1>

<sup>57</sup>ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 24 ოქტომბრის განჩინება საქმეზე *TibetMentesh and Others v. Turkey*, პარ 68-69

შემთხვევაში სოციალური ფაქტორების ბოროტად გამოყენება დამსაქმებლების მხრიდან გარკვეულწილად შეიზღუდებოდა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს შრომის ინსპექტორის ინსტიტუტის შემოღების საკითხი; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროში შექმნილია ინსპექტორთა ჯგუფი, მათი ამოცანაა ნებისმიერ საწარმოსა და დაწესებულებაში შესვლა, დოკუმენტაციების შემოწმება და თანამშრომლეთა გამოკითხვა; დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში ინსპექტორი ინფორმაციას აწვდის კრიმინალური პოლიციის სპეციალურ ჯგუფს.<sup>58</sup> მართალია, ამ ინსტიტუტის შემოღება დადებითად უნდა შეფასდეს, მაგრამ ვფიქრობ შრომითი უფლებების დაცვის მიზნით მეტი ღონისძიების გატარებაა საჭირო.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-4 მუხლი, კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებთან ერთად იცავს დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტურ ღირებულებებს.<sup>59</sup> კონვენციის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით არავინ შეიძლება იმყოფებოდეს მონობაში ან ყმობაში; განსხვავებით კონვენციის სხვა მატერიალური მუხლებისგან, მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი არ ადგენს გამონაკლისს ამ წესიდან, ასევე მე-15.2 მუხლის თანახმად მისგან არავითარი გადახვევა არ დაიშვება, იმ შემთხვევაშიც კი, როცა საგანგებო მდგომარეობაა და საფრთხე ექმნება ხალხთა სიცოცხელს.<sup>60</sup>

კონვენციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი კრძალავს იძულებითი ან სავალდებულო შრომას, რაც შეეხება მე-4 მუხლის მე-3 პუნქტს, მისი მიზანი არ არის შეზღუდოს მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უფლება, არამედ მხოლოდ გამონაკლის გარემოებებს ასახელებს, რაც იძულებით ან სავალდებულო შრომად არ ჩაითვლება. ზოგადად სასამართლოს მიაჩნია, რომ ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების ინტერპრეტაცია მხოლოდ აღნიშნული კონვენციით არ ხდება. იგი უკვე დიდი ხანია აცხადებს, კონვენციის დებულებების გამოყენება ცალკე განყენებულად, ვაკუუმში არ ხდება და როგორც საერთაშორისო ხელშეკრულება, ის უნდა განიმარტოს 1969 წლის 23 მაისს, ვენის კონვენციაში, ხელშეკრულების შესახებ განსაზღვრული

<sup>58</sup> ხერხელიძე ი., მსხვერპლის სწრაფი იდენტიფიკაციის მნიშვნელობა ტრეფიკინგის სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიებისათვის, პროაქტიული გამოძიება და ტრეფიკინგის შემთხვევების პროაქტიული გამოვლენა, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N3, თბილისი 2018, 26

<sup>59</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 26 ივლისის განჩინება საქმეზე *Siliadin v. France*, პარ 112

<sup>60</sup> *C.N. v. the United Kingdom*, 65

ინტერპრეტაციის წესების გათვალისწინებით. სასამართლომ ასევე იმგვარად უნდა განმარტოს ნორმები, რომ დაცული იყოს თანმიმდევრულობა და სხვა ხელშეკრულებების დებულებთან ჰარმონიულობა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მხედველობაში მიღებულ იქნას ნებისმიერი წესი, კანონი, საერთაშორისო კანონმდებლობა, რომელიც საქმესთან დაკავშირებით რელევანტურია და რომელთა ნაწილსაც ის თავად ქმნის. კონვენციის, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმის მიზანია, რომ მაში არსებული ნორმები განიმარტოს იმგვარად, რომ დაცვის მექანიზმები იყოს პრაქტიკული და ეფექტური<sup>61</sup>.

რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს, შესაძლოა ითქვას 143<sup>1</sup>-ე მუხლი მოიცავს იძულებით შრომას და მონობას. თავად ამ მუხლის შენიშვნის მიხედვით, ამ და 143<sup>2</sup>-ე მუხლების მიზნებისთვის ექსპლუატაცია გულისხმობს მონობის მსგავს ან მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენებას. მონობა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში შემდეგნაირად განმარტა: „პირის არა კანონიერი დაქირავება (შესაბამისი კონტრაქტის საფუძველზე), არამედ პირი ქირავდება მისი ექსპლუატაციისათვის, როგორც ნივთი და საზღაური გადაეცემა არა თავად მას (დაქირავებულს), არამედ სხვას. ეს სხვა შეიძლება იყოს მისი ახლო ნათესავი (მაგალითად, მეუღლე), ასევე მსხვერპლის `მესაკუთრე`, რომელსაც იგი ნაყიდი ჰყავს, როგორც მონა.“<sup>62</sup> მონობის თანამედროვე პირობები კი ამავე შენიშვნის მიხედვით თითქმის იდენტურად არის განმარტებული, როგორც ზემოთ განხილულ საქმეებში, მის მახასიათებლებად შენიშვნა ასახელებს: „ისეთი მდგომარეობის შექმნას, როდესაც ის ანაზღაურებით, არაადეკვატური ანაზღაურებით ან ანაზღაურების გარეშე, სხვა პირის სასარგებლოდ ასრულებს სამუშაოს ან ეწევა მომსახურებას და მას არ შეუძლია ამ გარემოების შეცვლა ამ პირზე დამოკიდებულების გამო“.<sup>63</sup> იგივენაირად ექცევა იძულებითი შრომა 143<sup>1</sup>-ე მუხლის ფარგლებში, რომლის შენიშვნაც ექსპლუატაციის განმარტების ნაწილში შრომისა და მომსახურების გაწევის იძულებას ასახელებს.<sup>64</sup>

<sup>61</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 7 იანვრის განჩინება საქმეზე *Rantsev v. Cyprus and Russia*, პარ 273-275

<sup>62</sup> ნაჭყებია გ., გორაშვილი გ., მამილაშვილი გ., თოდუა ნ., გოგშელიძე რ., სულაქველიძე დ., დვალიძე ი., ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბილისი, 2012, 290

<sup>63</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 143<sup>1</sup>, შენიშვნა 1.“ე“

<sup>64</sup> იქვე

## თავი III. ადამიანთა კონტრაბანდული გადაყვანა

### 3.1 ტრეფიკინგსა და ადამიანთა კონტრაბანდულ გადაყვანას შორის ურთიერთმიმართება და განსხვავება

მიგრანტთა უკანონო გადაყვანა საკმაოდ მომგებიანი 'ბიზნესი' გახდა კრიმინალური ქსელებისთვის, ამ უკანონო საქმიანობით მიღებული მოგების წლიური ბრუნვა მრავალ მილიარდ ევროს აღწევს. უკანონო გადამყვანები იყენებენ სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო მარშრუტებს, რათა ხელი შეუწყონ არალეგალურ მიგრაციას.

მიგრანტთა უკანონო გადაყვანა ადამიანის უფლებათა სერიოზულ დარღვევად ითვლება, განსაკუთრებით კი შეიძლება გამწვავდეს მაშინ, როდესაც შედეგად შესაძლოა ადამიანის სიკვდილიც კი გამოიწვიოს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მიგრანტთა გადაყვანა საზღვაო მარშრუტით ხდება. მიგრანტთა უკანონო გადამყვანთა კონტროლქვეშ დაღუპული მიგრანტების ოდენობა უფრო მეტად მიუთითებს ამ პრობლემის სიმწვავეზე და იმაზე, რომ აუცილებელია მის საბრძოლველად ყველანაირი სამართლებრივი, ოპერატიული და ადმინისტრაციული ბერკეტის გამოყენება. ასევე ის ფაქტი, რომ მიგრანტთა უკანონო გადაყვანა მჭიდრო კავშირშია სხვა ორგანიზებული დანაშაულების განხორციელებასთან, როგორცაა ტრეფიკინგი, ტერორიზმი, ფულის გათეთრება ამ ღონისძიებების გატარების საჭიროებას მეტად აჩქარებს.<sup>65</sup> მიგრანტთა უკანონო გადაყვანა არაერთ საერთაშორისო სამართლის საკითხს აყენებს. ასეთ შემთხვევებში მსხვერპლთა უფლებებს იცავს ადამიანის უფლებათა და მიგრანტთა კანონმდებლობა, კერძოდ კი შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის შესახებ საერთაშორისო კონვენცია, ევროპული კონვენცია შრომითი მიგრანტების სამართლებრივი სტატუსის შესახებ, ტრანსნაციონალურ ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ გაერო-ს კონვენციის ოქმი - სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო საშუალებებით მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანის აღკვეთის შესახებ, როგორც ამ უკანასკნელშია ნახსენები. სახელმწიფოებს გააჩნიათ ბევრი სამართლებრივი ვალდებულება ამ დანაშაულთან მიმართებით მიგრანტთა, საზღვაო, ადამიანის უფლებათა სამართლის მიხედვით, ასევე

<sup>65</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია [https://ec.europa.eu/home-affairs/what-we-do/policies/irregular-migration-return-policy/facilitation-irregular-migration\\_en](https://ec.europa.eu/home-affairs/what-we-do/policies/irregular-migration-return-policy/facilitation-irregular-migration_en)

გაეროს ტრანსნაციონალურ ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციისა და მიგრანტთა უკანონო გადაყვანის შესახებ პროტოკოლის მიხედვით.<sup>66</sup>

სახელმწიფოები, რომლებიც მიგრანტთა უკანონო გადაყვანის გაეროს პროტოკოლის რატიფიცირებას ახდენენ, თანხმდებიან, ითანამშრომლონ მიგრანტთა უკანონო გადაყვანის წინააღმდეგ ბრძოლის, პრენევენციის, მიგრანტთა უფლებების დაცვის საკითხებში. პროტოკოლის რატიფიცირების გზით, სახელმწიფოები თანხმდებიან ეროვნულ დონეზე მიგრანტთა უკანონო გადაყვანა დანაშაულად განსაზღვრონ თავიანთ კანონმდებლობაში. პროტოკოლის მიხედვით, მიგრანტთა უკანონო გადაყვანა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად განიხილება, რადგანაც ამ დროს ხდება საზღვრის უკანონო დარღვევა. აქედან გამომდინარე მსხვერპლად ითვლება არა მიგრანტი, არამედ სახელმწიფო.<sup>67</sup> ბევრმა სახელმწიფომ (112, 2011 წლის დეკემბერი) ხელი მოაწერა აღნიშნულ პროტოკოლს, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა დაცვას. პროტოკოლით დაცული სფერო მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ხელმომწერი მხარეები ვალდებული არიან არა მხოლოდ დანაშაულის კონტროლის კუთხით, არამედ ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფის კონტროლითაც. სახელმწიფოები ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ხვდებიან UNTOC-ის კონფერენციაზე ვენაში, რათა განიხილონ, რამდენად იცავენ თავიანთ ნაკისრ ვალდებულებებს.<sup>68</sup> 2015 წლის მაისში კომისიამ გამოაქვეყნა ევროკავშირის სამოქმედო გეგმა მიგრანტთა უკანონო გადაყვანაზე, კონტრაბანდის წინააღმდეგ, რომელიც განსაზღვრავს ბევრ ღონისძიებას ამ პრობლემის გადასაჭრელად. გეგმაში გამოყოფილია ოთხი ძირითადი პრიორიტეტი: გაძლიერებული საპოლიციო და სასამართლო რეაგირება, ინფორმაციის შეგროვების და გაზიარების გაუმჯობესება, მიგრანტთა უკანონო გადაყვანის პრევენციისა და მოწყვლადი ჯგუფის დახმარების გაძლიერება, უფრო მჭიდრო თანამშრომლობა მესამე ქვეყნებთან.<sup>69</sup>

2002 წელს ევროკავშირმა შეიმუშავა წესები მიგრანტთა უკანონო გადაყვანაზე. 2002/90/EC დირექტივამ ზოგადად განსაზღვრა უკანონო შესვლა, გადაყვანა და ცხოვრება, ხოლო 2002/946/JHA ჩარჩო გადაწყვეტილებამ გაამკაცრა

---

<sup>66</sup>Human Rights in Migrant Smuggling, Global Alliance Against Traffic in Women (GAATW), 2011, 9

<sup>67</sup>იქვე

<sup>68</sup>იქვე

<sup>69</sup>[https://ec.europa.eu/home-affairs/what-we-do/policies/irregular-migration-return-policy/facilitation-irregular-migration\\_en](https://ec.europa.eu/home-affairs/what-we-do/policies/irregular-migration-return-policy/facilitation-irregular-migration_en)

პასუხისმგებლობა პრევენციის მიზნით და დააწესა სანქციების მინიმალური წესები. ეს ორი ინსტრუმენტი ერთმანეთს ავსებს და ცნობილია, როგორც ფასილიტატორთა პაკეტი. ფასილიტატორთა პაკეტის მიხედვით, ნებისმიერი პირი, რომელიც განზრახ განახორციელებს სხვათა უკანონო შესვლას, გადაყვანას, ცხოვრებად ევროკავშირის წევრ ან არაწევრ სახელმწიფოებში, პასუხისმგებელია, გარდა იმ ჰუმანიტარული დახმარების მიზნების არსებობის შემთხვევისა.<sup>70</sup>

მართალია, კონტრაბანდული გადაყვანა და ტრეფიკინგი შინაარსობრივად ერთმანეთს ჰგავს, თუმცა ეს ორი დამოუკიდებელი დანაშაულებია; არსებობს სამი მნიშვნელოვანი განსხვავება მათ შორის:

- თანხმობა

მიგრანტთა უკანონო გადაყვანა, რომელიც ხშირად საშიშ ან ღირსების შემლახავ პირობებში ხორციელდება, გულისხმობს მიგრანტთა თანხმობას გადაყვანაზე. ტრეფიკინგის შემთხვევაში კი მსხვერპლნი არ არიან თანახმანი ან თუკი მათი თანხმობა არსებობს, მხოლოდ თავდაპირველად, საწყის ეტაპზე, რაც გამოწვეულია ტრეფიკორთა მხრიდან იძულებაზე, მოტყუებაზე, შეურაცხყოფელ ქმედებებზე.<sup>71</sup>

- ექსპლუატაცია

მიგრანტთა უკანონო გადაყვანა მთავრდება მიგრანტთა დანიშნულების ადგილზე მიყვანით, ტრეფიკინგი კი მოიცავს დაზარალებულთა ექსპლუატაციას და ამ უკანონო გზით შემოსავლის მიღებას. პრაქტიკული თვალსაზრისით, ტრეფიკინგის მსხვერპლნი უფრო მეტად ზარალდებიან და უფრო მეტად საჭიროებენ დაცვას რევიქტიმიზაციისგან და სხვა ფორმის შეურაცხყოფისგან, ვიდრე უკანონო მიგრანტები.<sup>72</sup>

- ტრანსნაციონალურობა

უკანონო გადაყვანა ყოველთვის ტრანსნაციონალურია, ხოლო ტრეფიკინგი შეიძლება არც იყოს. ტრეფიკინგი შეიძლება მოხდეს არა მხოლოდ ერთი

---

<sup>70</sup>იქვე

<sup>71</sup>ინფორმაცია ხელმისაწვდომია <https://www.unodc.org/lpo-brazil/en/trafico-de-pessoas/index.html>

<sup>72</sup>იქვე

ქვეყნიდან მეორეში გადაადგილებით, არამედ ერთ ქვეყანაში ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანით.<sup>73</sup>

რაც შეეხება ამ დანაშაულებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ადამიანით ვაჭრობა საქართველოს სსკ-ის 143<sup>1</sup>-ე მუხლით არის გათვალისწინებული, ეს მუხლი მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორცაა ადამიანის ყიდვა, გაყიდვა, უკანონო გარიგების განხორციელება მის მიმართ, გადაბირება, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება, მიღება; აღნიშნულ ქმედებებს აქვს ექსპლუატაციის მიზანი და ითვალისწინებს ამ ქმედებების განხორციელებას ისეთი საშუალებებით, როგორცაა ძალადობა, იძულება, მოტყუება, მოტაცება, შანტაჟი, თაღლითობა, უმწეო მდგომარეობის გამოყენება და ა.შ.<sup>74</sup> როგორც ვხედავთ, 143<sup>1</sup>-ე მუხლი დაწვრილებით განსაზღვრავს ადამიანით ვაჭრობას, მის კონკრეტულ გამოვლინებებს; რაც შეეხება საქართველოს სსკ-ის 344<sup>1</sup>-ე მუხლს, შეგვიძლია გამოვყოთ ორი ქმედება, მიგრანტთა უკანონოდ გადაყვანა საზღვარზე და მათი საქართველოში უკანონოდ ყოფნისთვის პირობების შექმნა (ხელშეწყობა).<sup>75</sup> აქაც უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებით, 143<sup>1</sup>-ე მუხლისა, 344<sup>1</sup>-ე მუხლს არ აქვს ექსპლუატაციის მიზანი; ადამიანით მოვაჭრეებს ფინანსური ინტერესი აქვთ, რომ მსხვერპლის ექსპლუატაციის შედეგადად მიიღონ სარგებელი, მსგავსი პირობა კი მიგრანტთა უკანონო გადაყვანისას არ გვაქვს, გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა. მიგრანტთა უკანონო გადაყვანის შემთხვევაში მიგრანტთა ინტერესს წარმოადგენს საზღვრის უკანონო კვეთა, რაც მათი გააზრებული სურვილის შესაბამისად ხორციელდება ამ ქმედების დამთავრებამდე. ტრეფიკინგის დროს შესაძლოა ზემოთ დასახელებული საშუალებების გამოყენება, რაც არ გვაქვს 344<sup>1</sup>-ე მუხლის მოცემულობაში, თუმცა ამავე მუხლის მე-2 ნაწილი უფრო მკაცრ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს ამ ქმედებას მიგრანტთა არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისთვის, მისი ექსპლუატაციისთვის. როგორც ვახსენეთ, 344<sup>1</sup>-ე მუხლი ექსპლუატაციის მიზანს არ ასახელებს, თუმცა მეორე ნაწილი ექსპლუატაციას ერთ-ერთ საშუალებად განიხილავს, რაც შესაძლოა გარკვეულწილად ადამიანით ვაჭრობის შემადგენლობასთან გაიგივდეს, რადგან ადამიანით ვაჭრობის მუხლიც მოიცავს ადამიანთა გადაყვანას მათი ექსპლუატაციის მიზნით; როგორ უნდა მოხდეს ასეთ შემთხვევაში მათი გამიჯვნა? სისხლის სამართლის კომენტართა

<sup>73</sup> იქვე

<sup>74</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 143<sup>1</sup>

<sup>75</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 344<sup>1</sup>

ავტორების მიხედვით, განმასხვავებელი ნიშანი დამნაშავეს მიზნის წარმოშობაა, ანუ როდის წარმოეშვა მას ექსპლუატაციის მიზანი, საზღვარგარეთ უკანონოდ გადაყვანამდე თუ მისი/მათი გადაყვანის შემდეგ. თუკი მას თავიდანვე მიგრანტთა გადაყვანა ექსპლუატაციის მიზნით ჰქონდა განზრახული სახეზე გვექნება ადამიანით ვაჭრობის დანაშაული.<sup>76</sup> ამით იხსენება პრობლემა ამ ორი დანაშაულის ურთიერთდაპირისპირებისას, რაც ვფიქრობ, ლოგიკური გამოსავალია.

---

<sup>76</sup> სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი 2, „მერიდიანი“, თბილისი, 2017, 395

## თავი IV. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ხელშემწყობი სხვადასხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები

### 4.1 შეიარღვებული კონფლიქტის ზონა, როგორც ტრეფიკინგის მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორი

ადამიანით ვაჭრობის წარმოშობის მიზეზები სხვადასხვა კრილში შეგვიძლია დავყოთ და განვიხილოთ; ესენია ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და ტექნოლოგიური მიზეზები.<sup>77</sup> პირველი მიზეზი არის ეკონომიკური, რაც გულისხმობს იაფი მუშა ხელის მოთხოვნას; „XX საუკუნის ბოლოს მსოფლიოს კრიმინალურ ბიზნესს (იარაღით და ნარკოტიკით ვაჭრობის გვერდით) დაემატა ახალი სახე – ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)“.<sup>78</sup> როგორც ჩანს, „გლობალიზაციას მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვს საერთაშორისო შრომით მიგრაციაზე“,<sup>79</sup> მიმღები ქვეყნები, რომლებმაც კარგად იციან სხვა ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა და იციან თუ სად უნდა იპოვონ იაფი მუშახელი, მიზანმიმართულად ქმნიან სპეციალურ ქსელებს, რისი მეშვეობითაც ხორციელდება დანაშაულებრივი გზით თავიანთი ბიზნესის განვითარება, საბოლოო ჯამში ისინი მცირე ინვესტიციების სანაცვლოდ ღებულებენ დიდ მატერიალურ შემოსავალს.<sup>80</sup> ხშირ შემთხვევაში დამნაშავეები წინასწარ სწავლობენ პოტენციური მსხვერპლის პიროვნულ მახასიათებლებს (მის გარეგნობას, მორალურ, ინტელექტუალურ და ფიზიკურ შესაძლებლობებს), ასევე მის საახლობლო წრეს, რათა შეიტყონ და გამორიცხონ იმ კონკრეტული პირის ექსპლუატაციაში ჩაბმის რისკები. პოტენციურ მსხვერპლთა ამგვარი შერჩევა (მათ გადაბირებამდე) უნდა ჩაითვალოს ადამიანით ვაჭრობის მომზადებად - საქართველოს სსკ-ის 18, 1431-ე მუხლით (თუ რა თქმა უნდა, ეს

<sup>77</sup> მესხი მ., 2014, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სამართლებრივი ასპექტები, მასთან ბრძოლის მეთოდები, გამოცდილება და პერსპექტივათა ხედვა, სადისერტაციო ნაშრომი, ივ. ჯავახიშვილის სახ.-ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 12

<sup>78</sup> ნაჭყებია გ., გორაშვილი გ., მამილაშვილი გ., თოდუა ნ., გოგშელიძე რ., სულაქველიძე დ., დვალიძე ი., ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეუარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბილისი, 2012, 277

<sup>79</sup> მესხი მ., 2014, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სამართლებრივი ასპექტები, მასთან ბრძოლის მეთოდები, გამოცდილება და პერსპექტივათა ხედვა, სადისერტაციო ნაშრომი, ივ. ჯავახიშვილის სახ.-ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 12 ;

<sup>80</sup> იქვე;

ყველაფერი დადასტურდება შესაბამისი მტკიცებულებებით).<sup>81</sup> რაც შეეხება სოციალურ მიზეზებს, აქ იგულისხმება ქვეყანაში არსებული სოციალური პრობლემები, როგორცაა უმუშევრობა, სიღარიბე, შესაბამისი სამუშაოს პოვნის სირთულე; საქართველოს მაგალითზე, ადამიანთ ვაჭრობის ზრდის მიზეზი გამოწვეულია გარკვეული პროფესიებზე მზარდ მოთხოვნილებასთან, აგრეთვე იმასთანაც, რომ ამ პრობლემების გათვალისწინებით ადამიანთა ნაწილს საზღვარგარეთ სურს სამუშაოდ წასვლა.<sup>82</sup> მწირი სამუშაო ადგილების გამო ბევრი ადამიანი დაუსაქმებელი რჩება და იძულებული ხდება სხვა ქვეყანაში ეძებოს სამუშაო, დათანხმდეს ნებისმიერი ტიპის სამუშაოს, თუნდაც არაადეკვატურად მცირე ანაზღაურებით;<sup>83</sup> ფაქტია, რომ ამას მოთხოვნის ფართომასშტაბურობაც განაპირობებს. უკანონო ბიზნესის მფლობელებს ხშირად არ ჰყოფნით რესურსები მხოლოდ ლოკალურ დონეზე, რის გამოც ისინი ქვეყნის გარეთაც იძიებენ პოტენციურ მსხვერპლებს მაგ. ადგილობრივი ბორდელების მოსამარაგებლად,<sup>84</sup> ან შესაძლოა სხვა ტიპის ექსპლუატაციის მიზნით. პოტენციური მსხვერპლის ძიებისას, როგორც მომარაგებისა და მოთხოვნის დინამიკის შესაწავლა ცხადყოფს, ხდება ისეთ ფაქტორების გათვალისწინება, როგორცაა სიღარიბე, უმუშევრობა, რადგან ასეთ გარემოში მეტად შეიძლება მოიძებნოს მსხვერპლი.<sup>85</sup> „წარმატებული მომავლის არ არსებობა, სიყვარულისა და დაცულობის ძიება, სიმდიდრე, დასავლური ცხოვრების სტილი - ძლიერი მოტივატორია ქალებისთვის, რომ სამსახური საზღვარგარეთ ეძებონ.“<sup>86</sup>

ამ მიზეზთა ქუდში ექვევა ასევე განათლების დონის დაბალი მაჩვენებელი. განათლება დასაქმების მნიშვნელოვანი წიპირობაა, ასევე მნიშვნელოვანია ადამიანებმა იცოდნენ თავიანთი უფლებები, თუ რა ქმედება შეიძლება იყოს

<sup>81</sup>ნაჭყებია გ., გორაშვილი გ., მამილაშვილი გ., თოდუა ნ., გოგშელიძე რ., სულაქველიძე დ., დვალაძე ი., ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბილისი, 2012, 282

<sup>82</sup>ნაჭყებია გ., გორაშვილი გ., მამილაშვილი გ., თოდუა ნ., გოგშელიძე რ., სულაქველიძე დ., დვალაძე ი., ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბილისი, 2012, 248

<sup>83</sup> მესხი მ., 2014, ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სამართლებრივი ასპექტები, მასთან ბრძოლის მეთოდები, გამოცდილება და პერსპექტივათა ხედვა, სადისერტაციო ნაშრომი, ივ. ჯავახიშვილის სახ.-ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 12

<sup>84</sup> ხერხეულიძე ი., 2018, ტრეფიკინგში „მიწოდება – მოთხოვნის ბაზარი“ – რეალობა, საფრთხეები და მის შესამცირებლად მიმართული ტენდენციები, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, 40

<sup>85</sup> იქვე

<sup>86</sup> იქვე

უკანონო და კანონიერი.<sup>87</sup> პოლიტიკურ მიზეზებში მოიზარება სახელმწიფოს პოლიტიკა ამ საკითხთან დაკავშირებით; შესაძლოა ეს ეხებოდეს საკანონმდებლო ბაზას, მის იმპლემენტაციას, რადგან ეფექტური კანონმდებლობის და შესაბამისი რეგულაციების არ ქონა 'წამახალისებელი' ფაქტორია კრიმინალური ჯგუფებისთვის, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო მხარს უჭერდეს ეფექტური კანონმდებლობის დანერგვას.<sup>88</sup>

შემდეგი მიზეზი ეხება ტექნოლოგიურ განვითარებას, ძირითადად კავშირგაბმულობის და გადაადგილების ჭრილში. ინტერნეტ სივრცე დიდ და მრავალფეროვან შესაძლებლობას უქმნის დამნაშავეებს ადამიანით ვაჭრობა და მსხვერპლთა მომსახურება არაერთი გზით მართონ.<sup>89</sup>

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფაქტორი, რაც ამ დანაშაულის წახალისებას ახდენს ასევე არის კორუფცია; თავინთი მაღალი შემოსავლით დანაშაულებრივმა დაჯგუფებებმა შესაძლოა ეცადონ პოლიტიკური ფიგურების მოსყიდვას, <sup>90</sup> ან მოხდეს კრიმინალური ქსელისა და სახელმწიფოს შერწყმა, რაც საკმაოდ გავრცელებლი ფორმა იყო საბჭოთა რესპუბლიკაში, სწორედ ისინი იყვნენ ევროპის ბორდელების ძირითადი მომმარაგებლები.<sup>91</sup> აღსანიშნავია, რომ საქართველოს გარდა, საბჭოთა კავშირის ყველა დანარჩენი სახელმწიფოს თანმდებლობის პირი ოფიციალურად მონაწილეობდა, თანამდროვე მონობის საქმეებში.<sup>92</sup>

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, პოლიტიკურ მიზეზებში ექცევა ასევე ქვეყნის პოლიტიკური კონფლიქტი სხვა ქვეყანასთან ან ქვეყნებთან, რადგანაც ასეთ დროს მოწინააღმდეგე ქვეყანა შესაძლოა დამნაშავეთა 'თავშესაფარი' გახდეს;<sup>93</sup> გარდა ამისა, რადგანაც ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა საკმაოდ რთულია და ერთი სახელმწიფოს ჩართულობა საკმარისი არ არის,

---

<sup>87</sup> მესხი მ., 2014, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სამართლებრივი ასპექტები, მასთან ბრძოლის მეთოდები, გამოცდილება და პერსპექტივათა ხედვა, სადისერტაციო ნაშრომი, ივ. ჯავახიშვილის სახ.-ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 14-15

<sup>88</sup> იქვე

<sup>89</sup> იქვე

<sup>90</sup> ხერხელიძე ი., 2018, ტრეფიკინგში „მიწოდება – მოთხოვნის ბაზარი“ – რეალობა, საფრთხეები და მის შესამცირებლად მიმართული ტენდენციები, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, 40

<sup>91</sup> იქვე

<sup>92</sup> იქვე

<sup>93</sup> მესხი მ., 2014, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სამართლებრივი ასპექტები, მასთან ბრძოლის მეთოდები, გამოცდილება და პერსპექტივათა ხედვა, სადისერტაციო ნაშრომი, ივ. ჯავახიშვილის სახ.-ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 15

მნიშვნელოვანია სახელმწიფოებმა ითანამშრომლონ ერთმანეთთან და ერთობლივი ძალებით გაუმკალებდნენ დანაშაულის ამ მძიმე ფორმას.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც ადამიანით ვაჭრობას განაპირობებს არის შეიარაღებული კონფლიქტი. შეიარაღებული კონფლიქტის დროს ბავშვთა ტრეფიკინგი მათი ექსპლუატაციის მიზნით ფართოდ გავრცელებული დანაშაულია მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში. არსებობს მტკიცებულებები, რომ არა მხოლოდ ბავშვები, არამედ ქალები და მამაკაცებიც იძულებულნი ხდებიან შეიარაღებული ძალების მხრიდან გასწიონ სექსუალური და სხვა ტიპის მომსახურება. მაგალითად, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში - ქვეყანაში, რომელიც წარსულში სამოქალაქო ომმა გაანადგურა - ადგილობრივი მოსახლე ბიჭები იმავე ტერიტორიაზე ხდებიან ტრეფიკინგის მსხვრპლნი, რადგან მათ შეიარაღებულ ძალებში აიძულებენ იმსახურონ<sup>94</sup>. 2014 წელს 6000 -ზე მეტი ბავშვი ჩართეს შეარაღებულ კონფლიქტში სხვადასხვა შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა. ამის მსგავსად, 2010 და 2013 წლებში კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ დაფიქსირდა 4,194 ბავშვის იძულებითი მსახურება მეომრებად, მცველებად, მზარეულებად, ესკორტად, სექს-მუშაკებად, რაც განხორციელდა შეიარაღებული ძალების მიერ, რომლებიც მოქმედებდნენ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებსა გარეთაც.<sup>95</sup>

შეიარაღებული კონფლიქტის დროს ადამიანით ვაჭრობა ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წინააღმდეგ სტრატეგიული გეგმის ნაწილიცაა. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მიხედვით შეიარაღებული ჯგუფები განზრახ ახდენდნენ ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების ექსპლუატაციას 2014 წლის ერაყის სამოქალაქო ომის დროს.<sup>96</sup>

აღსანიშნავია ასევე ის ფაქტიც, რომ მხოლოდ კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ადამიანი არ ხდებიან ტრეფიკინგის მსხვრპლნი, არამედ ასეთ ტერიტორიაზე სხვა ადგილებიდანაც ჩამოჰყავთ მსხვრპლები მათი სექსუალური და შრომითი ექსპლუატაციის მიზნით. ამ თვალსაზრისით, გაერთიანებული ერების სპეციალურმა მომხსენებელმა ადამიანით ვაჭრობის, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის საკითხებზე განაცხადა, რომ

<sup>94</sup> UN GLOBAL REPORT ON TRAFFICKING IN PERSONS 2016, Trafficking in persons in conflict situations, 64

<sup>95</sup> Ibid, 64, S/2014/453, United Nations Security Council, Report of the Secretary-General on children and armed conflict in the Democratic Republic of the Congo, 30 June 2014

<sup>96</sup> Ibid, 65

კონფლიქტურ ზონებში ადამიანები სპეციალურად გადაჰყავთ შრომითი ექსპლუატაციის მიზნით.<sup>97</sup> აქედან გამომდინარე ფაქტია, რომ შეიარაღებული კონფლიქტის დროს შეიარაღებულმა ჯგუფებმა შესაძლოა მოსახლეობის ექსპლუატაცია ნებისმიერი სახით მოახდინონ. ყველაზე ხშირი ფორმა, რასაც ექსპლუატაციისას მიმართავენ არის სექს-მუშაკობა, შეიარაღებულ ძალებში მსახურება და იძულებით შრომა.

---

<sup>97</sup> Ibid, 66

## თავი V. ადამიანით ვაჭრობასა (ტრეფიკინგს) და პროსტიტუციას შორის ურთიერთმიმართება და მასთან ბრძოლის მექანიზმები

ადამიანით ვაჭრობასთან საბრძოლველად მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ მისი გამომწვევი მიზეზები, რა განაპირობებს ამ დანაშაულის აქტუალურობას მთელს მსოფლიოში. ცხადია, რომ მოთხოვნა იაფ მუშა ხელზე ძალიან მაღალია როგორც არალეგალურ, ისე ლეგალურ ეკონომიკაში, ამიტომ გასათვალისწინებელია მოთხოვნა-მიწოდების საკითხი<sup>98</sup>, რადგან ადამიანით ვაჭრობის შედეგად მიღებული შემოსავალი ყოველწლიურად მილიარდს უტოლდება, რაც ყველა სახის ექსპლუატაციაზე მოთხოვნის მუდმივ არსებობას განაპირობებს, ამიტომაც აუცილებელია ბრძოლის მექანიზმები უშუალოდ მოთხოვნისკენ იყოს მომართული. ამაზე პირდაპირ მითითებას აკეთებს პალერმოს ოქმი და ტრეფიკინგის ევროპული კონვენცია; ორივე დოკუმენტი მოუწოდებს სახელმწიფოებს მიიღონ და გააძლიერონ ზომები ადამიანით ვაჭრობის მოთხოვნის შესასუსტებლად<sup>99</sup>.

უნდა შევხვით ასევე პროსტიტუციის საკითხს, რომლის აღრევაც გვხვდება ზოგჯერ ადამიანით ვაჭრობის დანაშაულთან. უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანით ვაჭრობა, ექსპლუატაციის მიზანი გულისხმობს პროსტიტუციაში ჩაბმასაც, თუმცა აუცილებელია, რომ ეს ორი ერთმანეთისგან გავმიჯნოთ. პროსტიტუციას წინ არ უძღვის ისე ქმედებები, როგორცაა ყიდვა, გაყიდვა და ა.შ. ანუ ის ქმედებები, რაც ადამიანით ვაჭრობის დანაშაულშია ჩამოთვლილი.<sup>100</sup> გარდა ამისა, „პროსტიტუციაში ჩაბმულს აღკვეთილი ან შეზღუდული აქვს თავისუფალი გადაადგილების უფლება. პროსტიტუციის შედეგად მიღებული შემოსავალი გადადის ექსპლუატატორის (ტრეფიკერის) ხელში და იგი მას საკუთარი მიზნის დასაკმაყოფილებლად იყენებს. ამდენად, აქ დანაშაულის მსხვერპლი გამოყენებულია სხვისი გამდიდრების საშუალებად. რაც შეეხება სსკ-ის 253-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს, იგი არ გულისხმობს ასეთ შემთხვევებს“. ერთ-ერთ საქმეში სასამართლომ ადამიანით ვაჭრობა არ

<sup>98</sup> ხერხელიძე ი., ტრეფიკინგში „მიწოდება-მოთხოვნის ბაზარი“ – რეალობა, საფრთხეები და მის შესამცირებლად მიმართული ტენდენციები II, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი N3, 2018, 40

<sup>99</sup> იქვე

<sup>100</sup> სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი 1, „მერიდიანი“, თბილისი, 2019, 269

დაადგინა ქმედების იმ ნაწილში, სადაც ბრალდებულს პირადად ჰქონდა მოლაპარაკება სამიზნე პირთან პროსტიტუციაში ჩაბმაზე, ასეთ შემთხვევაში, რადგან ზეპირი შეთანხმება ხდებოდა უშუალოდ იმ ადამიანთან, ვინც უნდა ჩაბმულიყო პროსტიტუციაში, იგი მიჩნეულ იქნა გარიგების მონაწილე (სუბიექტად) და არა ობიექტად, რის გამოც უკანონო გარიგება არ დადგინდა<sup>101</sup>, იგი გულისხმობს სხვა მესამე პირთან მოლაპარაკებას პოტენციური მსხვერპლის ექსპლუატაციაზე.

ხშირად ადამიანით ვაჭრობის მამოძრავებელ ძალად ასახელებენ პროსტიტუციას, მისი მაღალი მოთხოვნის გათვალისწინებით, თუმცა მეორე მხრივ, ექვეყნეუ დგას მოსაზრება იმის შესახებ, რომ პროსტიტუციის ლეგალიზება წამახალისებელი ფაქტორი იქნება ტრეფიკინგისთვის, ამის მაგალითად არსებობს ევროპის ისეთი ქვეყნები, სადაც პროსტიტუცია ლეგალურია და თუმცა ამას ტრეფიკინგისთვის წამახალისებელი პირობები არ შეუქმნია (გერმანია და ჰოლანდია). ავტორი მიხეილ ბაძაღუა თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ უკანონო პროსტიტუციასთან ბრძოლის, ასევე ადამიანის ტრეფიკინგის შემცირების მიმართებითაც პროსტიტუციის ლეგალიზება დადებითად უნდა შეაფასდეს, რადგან, პროსტიტუციის არალეგალურობამ შესაძლოა ამ კონტაქტურ სფეროში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაუცველობა გამოიწვიოს, მათ შორის ვენერიულ სნეულებათა გავრცელებაც. მისი თქმით, ამ ბიზნესის არალეგალურობა ასევე იწვევს სექს მუშაკების-უუფლებო მდგომარეობას, მათ აღურიცხაობას და ალბათ არალეგალურობიდან გამომდინარე სახელმწიფო ბიუჯეტის კარგავს მნიშვნელოვან სახსრებს, რომელიც საზოგადოების წინსვლის მაგივრად დანაშაულებრივ სამყაროს გაძლიერებას ხმარდება. თუმცა ამასთან აღნიშნავს, რომ საქართველოში არსებობს გარკვეული შემაფერხებელი გარემოებები.

ერთის მხრივ ცხადია, რომ ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა ჩაბმა ხშირად ხდება პროსტიტუციაში, თუმცა მეორეს მხრივ სადავო საკითხია პროსტიტუციის ლეგალიზაცია უარყოფით ზეგავლენას ახდენს ტრეფიკინგის დანაშაულზე თუ პირიქით. ვფიქრობ, ლეგალიზაცია გარკვეულწილად არიდებს პოტენციურ მსხვერპლს ტრეფიკინგის მსხვერპლად გახდომას, რადგან, გარდა ზემოთ დასახელებული არგუმენტებისა, რაც ეხება ჰიგიენასა და დაავადებათა

---

<sup>101</sup>ნაჭყებია გ., გორაშვილი გ., მამილაშვილი გ., თოდუა ნ., გოგშელიძე რ., სულაქველიძე დ., დვალიძე ი., ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბილისი, 2012, 351

გავრცელებას, ასევე გადასახადებს, ასეთ შემთხვევაში მას არ დასჭირდება ადამიანით მოვაჭრეებთან დაკავშირება, შესაბამისად თავიდან აირიდებს მათი მხრიდან იძულებას და არაერთი ფორმის ექსპლუატაციას. თუმცა ამასთან, მიმაჩნია, რომ ამისგან უნდა გაცალკევდეს ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლი, რომელიც იძულებით არის ჩაბმული ამ საქმიანობაში და მისგან მომსახურების მიღება; ასეთ შემთხვევაში ვფიქრობ, უნდა გავიზიაროთ ამ ქმედების კრიმინალიზაცია და დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების აკრძალვა. აღსანიშნავია საქართველოს სსკ-ის 143<sup>3</sup>-ე მუხლის შემოღება, რომელიც ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობას განსაზღვრავს დანაშაულებრივ ქმედებად. ამ ნორმის მიხედვით, დანაშაულად შეიძლება ჩაითვალოს, მაგალითად, ბიზნეს-მესაკუთრის მიერ ადამიანით მოვაჭრეების მხრიდან მიწოდებული მუშახელის შეგნებული გამოყენება.<sup>102</sup> ეს ჩანაწერი პრევენციის მიზნებისთვის წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს, რადგან მოთხოვნა-მიწოდებაზე პირდაპირ ეფექტს ახდენს, თუმცა ეს უნდა გაიმიჯნოს ზოგადად მეძავის მომსახურებისგან და მხოლოდ ტრეფიკინგის კონტექსტში იყოს რელევანტური<sup>103</sup>. მნიშვნელოვანია ასევე ამ მუხლის შენიშვნა, რომლის მიხედვითაც ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლის მომსახურების მიძღვნილი გათავისუფლდება სისხლისსამართლის პასუხისმგებლობისგან, თუკი გამოძიების დაწყებამდე წერილობით ან კომუნიკაციის ნებისმიერი ტექნიკური საშუალების გამოყენებით, ნებაყოფლობით მიაწოდა საგამოძიებო ორგანოებს, ხელი შეუწყო გამოძიების წარმართვას და მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები.<sup>104</sup> ამ წამახალისებელ პირობას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს ისეთი მძიმე ფორმის დანაშაულებთან ბრძოლაში, როგორცაა ორგანიზებული დანაშაულები, მათ შორის ადამიანით ვაჭრობა. ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლის მომსახურებით მოსარგებლე შესაძლოა გამოძიებისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ინფორმაციას ფლობდეს, ან გაიგოს ასეთი, ამიტომ, მსგავსი ორმხრივ ინტერესებზე მორგებული მიდგომა შესაძლებელია ეფექტური გამოძიებისა და ამ დანაშაულთან ბრძოლის წინაპირობა გახდეს.

<sup>102</sup> ხერხეულიძე ი., ტრეფიკინგში „მიწოდება-მოთხოვნის ბაზარი“ – რეალობა, საფრთხეები და მის შესამცირებლად მიმართული ტენდენციები, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი N2, 2018, 43

<sup>103</sup> იქვე, 44

<sup>104</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143<sup>3</sup>-ე მუხლის შენიშვნა

ადამიანით ვაჭრობასთან საბრძოლველად სახელმწიფოთა მხრიდან, რა თქმა უნდა, არ არის საკმარისი მხოლოდ კონკრეტული მიმართულებით ბრძოლა, აუცილებელია სახელმწიფო ამ პრობლემას კომპლექსური მიდგომებით ებრძოდეს; ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი ეხება სახელმწიფო ორგანოების კომპეტენციას, რომ უზრუნველყონ ადამიანით ვაჭრობის პრევენციისთვის და აღკვეთისთვის საჭირო პირობები. პრევენციას რაც შეეხება, ამავე კანონის მე-5 მუხლის მიხედვით, სახელმწიფოს ფართო არეალი აქვს იმისათვის, რომ ამ დანაშაულის თავიდან აცილების გზები იყო ეფექტური და შედეგიანი; ეს მოიცავს „ორგანიზაციული, სამართლებრივი, კვლევითი, საგანმანათლებლო, საინფორმაციო, სოციალური და ეკონომიკური ღონისძიებების ერთობლიობას, როლებიც მიმართულია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შემცირებისაკენ, თავიდან აცილებისა და აღკვეთისაკენ“.<sup>105</sup> ამ მიზნით სახელმწიფო ორგანოებს გადანაწილებული აქვთ ფუნქციები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, რასაც უფრო დაწვრილებით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონის მე-5, მე-6 და მე-7 მუხლები ეხება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს საუწყებათშორისო საკოორდინაციო საბჭოს შექმნა, რომელიც შეიმუშავებს და ამტკიცებს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულ სამოქმედო გეგმას. სამოქმედო გეგმებში, მაგ. 2019-2020 წლის სამოქმედო გეგმაში, ცხადია, რომ ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა კომპლექსური მიდგომებით ხდება, სადაც მონაწილეობს არაერთი უწყება, არამედ ბევრი; თუმცა, ვფიქრობ, ამ უწყებათაგან ყველაზე მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და საქართველოს პროკურატურა; მაგ. შსს კომპეტენციაში შედის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევების პროაქტიული გამოვლენა<sup>106</sup>; პარტნიორი ქვეყნების, განსაკუთრებით კი საქართველოს მოსაზღვრე სახელმწიფოების შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობის გაღრმავება/მოლაპარაკებების დაწყება, მათ შორის ტრანსნაციონალური თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით.<sup>107</sup> ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის პროაქტიული გამოძიების წარმოება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ტრეფიკინგის სავარაუდო შემთხვევების გამოვლენისას.

<sup>105</sup> ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილი

<sup>106</sup> ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა, 16

<sup>107</sup> იქვე

პროაქტიული გამოძიება ორიენტირებულია სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების ინიციატივაზე და გულისხმობს გამოძიების იმ მეთოდს, რომელიც არ არის დამოკიდებული მსხვერპლის განცხადებაზე/მიმართვაზე და ითვალისწინებს გამოძიების დაწყებას ოპერატიული ანგარიშის საფუძველზე;<sup>108</sup> ამ მხრივ საქართველოს შემთხვევაში მნიშვნელოვან გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული შემოწმების მობილური ჯგუფის რაოდენობის გაზრდა და ფუნქციონირება და სპეციალისტების ჯგუფის (Task Force) შესაძლებლობების გაზრდა და მისი წევრების მონაწილეობა ტრეფიკინგის რისკის შემცველი ადგილების შემოწმებისა და პოლიციური კონტროლის განხორციელებისას<sup>109</sup>. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული შემოწმების მობილური ჯგუფი ფუნქციონირებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოში და მათი საქმიანობა მოიცავს ადამიანთ ვაჭრობის რისკშემცველი დაწესებულებების, ადგილების გამოვლენას, რისკჯგუფს მიკუთვნებულ პირთა გამოკითხვას; საზოგადოების ინფორმირებას არალეგალურად მუშაობის რისკების შესახებ, მუშაობის შესახებ არსებული ნორმების და მოთხოვნების გაცნობას.<sup>110</sup> 2015-2016 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიშის მიხედვით მობილურმა ჯგუფებმა გამოავლინეს რიგი ისეთი დაწესებულებებისა, რომლებიც რისკშემცველი იყო ადამიანთ ვაჭრობის თვალსაზრისით და სადაც სისტემატიურად ხდებოდა პროსტიტუციისთვის ადგილის დათმობა.<sup>111</sup> ე.წ. სპეციალისტების ჯგუფი (Task Force) დაკომპლექტებულია 7 დეტექტივ-გამომძიებლით და 5 პროკურორით, რათა პროაქტიულად გამოავლინონ, ეფექტურად გამოიძიონ და აწარმოონ სისხლის სამართლებრივი დევნა ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულებზე<sup>112</sup>. მათი მოვალეობაა გამოავლინონ ტრეფიკინგის

<sup>108</sup> ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, 51

<sup>109</sup> ხერხეულიძე ი., მსხვერპლის სწრაფი იდენტიფიკაციის მნიშვნელობა ტრეფიკინგის სისხლის სამართლებრივი დევნისა და გამოძიებისათვის, პროაქტიული გამოძიება და ტრეფიკინგის შემთხვევების პროაქტიული გამოვლენა, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, თბილისი, 2018, 19

<sup>110</sup> ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, 48

<sup>111</sup> იქვე

<sup>112</sup> იქვე, 50

ფაქტები, გაატარონ პრევენციული ღონისძიებები, გამოავლინონ რისკჯგუფს მიკუთვნებულ დაწესებულებები და პირები, მოახდინონ მსხვერპლთა იდენტიფიცირება, გამოკითხონ მოქალაქეები და განახორციელონ ოპერატიულ-სამძებრო და საგამომიებო მოქმედებები, სისხლის სამართლებრივი დევნა, დამნაშავეთა დაკავება და დაზარალებულთა გამოვლენა.<sup>113</sup> 2015-2016 წლის ანაგარიშის მიხედვით სპეციალისტთა ჯგუფი 24/7 სისტემატიურად აკონტროლებს სარფის სასაზღვრო გამშვებ პუნქტს და თურქეთიდან დეპორტირებულ მოქალაქეებთან გასაუბრებებს აწარმოებს.<sup>114</sup>

ადამინით ვაჭრობასთან ბრძოლა განსაკუთრებით რთული ამოცანაა სახელმწიფოთათვის მისი ტრანსნაციონალური ხასიათიდან გამომდინარე, ამიტომ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ უწყებათა შორის თანამშრომლობა, არამედ სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობაც და ამ დანაშაულის წინააღმდეგ ერთობლივი ძალებით ბრძოლა. თუკი ადრე საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობა ძალიან პასიური იყო, საქართველოს მიერ შესაბამის სახელმწიფოსთან სამართლებრივ სფეროში თანამშრომლობის თაობაზე დადებული ორმხრივი ხელშეკრულების არ ქონის თუ სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებით (კონვენციებით) გათვალისწინებული შესაძლებლობების გამოუყენებლობის გამო, ამჟამად ამ კუთხით დიდი პროგრესი შეინიშნება<sup>115</sup>. საქართველოს არის გაეროს „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის შესახებ“ კონვენციის (პალერმოს კონვენცია) და მისი ორი დამატებითი ოქმის წევრი, ასევე ევროპის საბჭოს ყველა შესაბამისი კონვენციის წევრი. 2013 წელს მიღებულ იქნა „სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონი. ამ კანონის ფარგლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარგზავნილი ჰყავს პოლიციის ატაშეები 11 ქვეყანაში (ავსტრია, აზერბაიჯანი, ბელარუსი, გერმანია, ესპანეთი, თურქეთი, პოლონეთი, საბერძნეთი, საფრანგეთი, სომხეთი, უკრაინა). 2013 წლის ბოლოდან კი შინაგან საქმეთა სამინისტროში ფუნქციონირებს საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თანამშრომლობის ცენტრი. ადამინით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმაც მოიცავს პარტნიორი ქვეყნების, განსაკუთრებით კი საქართველოს

<sup>113</sup> იქვე

<sup>114</sup> იქვე

<sup>115</sup> ნაჭყებია გ., გორაშვილი გ., მამილაშვილი გ., თოდუა ნ., გოგშელიძე რ., სულაქველიძე დ., დვალიძე ი., ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბილისი, 2012, 362

მოსაზღვრე სახელმწიფოების შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობის გაღრმავება/მოლაპარაკებების დაწყება, მათ შორის ტრანსნაციონალური თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით<sup>116</sup>; ამ საქმიანობას მთავარი განმახროციელბელი უწყება შინაგან საქმეთა სამინისტროა, დამხმარე ორგანოები არიან საგარეო საქმეთა სამინისტრო და საკოორდინაციო საბჭო.<sup>117</sup> აღნიშნული კანონი ითვალისწინებს კონტროლირებად მიწოდებას, რაც ასევე გაეროს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ კონვენციით არის განსაზღვრული და რაც დანაშაულთან ბრძოლის ეფექტური საშუალებაა. კონტროლირებადი მიწოდება ნიშნავს მეთოდს, რომლის დროსაც დასაშვებია ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ტერიტორიიდან ან ტერიტორიის გავლით უკანონო ან საეჭვო ტვირთის შემოტანა ან გატანა, ამ სახელმწიფოთა კომპეტენტური ორგანოების ნებართვითა და ზედამხედველობით, დანაშაულის სათანადო გამოძიებისა და დამნაშავეთა გამოვლენის მიზნით,<sup>118</sup> შენგენის შეთანხმების 73-ე მუხლით, თითოეული მხარე პასუხისმგებლობას იღებს, კონსტიტუციისა და ქვეყნის შიდა კანონების შესაბამისად, მიიღოს ზომები კონტროლირებადი მიწოდების განხორციელებისათვის ნარკოტიკული ნივთიერებებისა და ფსიქოტროპული საშუალებების არალეგალურ ტრეფიკინგთან მიმართებით.<sup>119</sup> ეს ღონისძიებაშიეძლება წარმართოს ეჭვმიტანილთან (კურიერთან) თანამშრომლობით; ეჭვმიტანილთან (კურიერთან) თანამშრომლობის გარეშე; საფოსტო გზავნილის სახით; ფარული აგენტის მეშვეობით განხორციელებული კონტროლირებადი იმპორტ/ექსპორტის სახით<sup>120</sup>; აქედან გამომდინარე, ამ დანაშაულის სირთულის გათვალისწინებით, მასთან ეფექტიანი ბრძოლისთვის სამართალდამცავ ორგანოებს შეუძლიათ მიმართონ ისეთ ღონისძიებებს, როგორცაა მაგ. სამართალდამცავი აგენტის ჩანერგვა, თუმცა, რა თქმა უნდა, ისე, რომ არ შეილახოს ადამიანის უფლებები.

<sup>116</sup> ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა, 30

<sup>117</sup> იქვე

<sup>118</sup> საინფორმაციო ფურცელი, კონტროლირებადი მიწოდების დეფინიცია ევროპის ქვეყნების კანონმდებლობაში, კანონპროექტისათვის „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე (07-2/302; 31.12.2018), 1

<sup>119</sup> იქვე, 2

<sup>120</sup> იქვე, 3

## თავი VI. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარებისა და რეაბილიტაციის მექანიზმები

მსხვერპლთა დახმარება და დაცვა ნებისმიერი დანაშაულის შემთხვევაში მნიშვნელოვანია, თუმცა ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლის შემთხვევაში მისი დაცვა და რეაბილიტაცია სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონეა; ამ დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით ცხადია, მისი მსხვერპლი ძალიან მძიმე ფიზიკურ და ფსიქიკურ ტრამვას განიცდის; თავიანთ მსხვერპლზე კონტროლის მოპოვების მიზნით ადამიანით მოვაჭრეები უზღუდავენ მათ ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, მორალურ, სოციალურ და ეკონომიკური რესურსების ხელმისაწვდომობას. ამიტომ, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვა და მათი დახმარება მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას, რომელიც დააკმაყოფილებს მათ საჭიროებებს.<sup>121</sup> აუცილებელია, სახელმწიფომ სათანადო მზრუნველობა გამოიჩინოს ამ დანაშაულის მსხვერპლთა მიმართ, გარდა ამისა, მსხვერპლთა დაცვა მნიშვნელოვანია გამოძიების მიზნებისთვისაც, რადგან მსხვერპლთა თანამშრომლობით შესაძლოა გამოძიებას არსებითად მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიეწოდოს და დანაშაულის გახსნაში დიდი წვლილი შეიტანოს.

დაცვის ის ძირითადი სახეები, რომელიც , როგორც წესი, აუცილებელია ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთათვის, არის შემდეგი:

უსაფრთხოების უზრუნველყოფა; განთავსება უსაფრხო ადგილას; კვების პროდუქტების მიწოდება; ფსიქოლოგიური დახმარების გაწევა.<sup>122</sup>

ხელმისაწვდომობა ჯანდაცვის მომსახურებაზე: ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლებს ხშირად აწუხებთ ქრონიკული ხასიათის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, რის გამოც აუცილებელია მათი სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა.<sup>123</sup>

---

<sup>121</sup> დელემენჩუკი ა., ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა (ტრეფიკინგი), თბილისი, 2009, 1, ხელმისაწვდომია <<http://www.nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1--0-10-0---0---0prompt-10---4-----0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=samartal&cl=CL4.1&d=HASH01b829e77ef36c22a66e6fc1.4>>

<sup>122</sup> იქვე

<sup>123</sup> იქვე

სამართლებრივი დახმარება: ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლები ინფორმირებულები უნდა იყვნენ სასამართლო პროცესში მონაწილეობის მიღებაზე ან მონაწილეობაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე; ბინადრობის სტატუსის შესახებ (ანუ აქვთ თუ არა მათ შესაძლებლობა დროებით ან მუდმივად იმყოფებოდნენ დანიშნულების ქვეყანაში კანონიერად და ა.შ.); ზარალის/ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესახებ.<sup>124</sup>

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონი ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ღონისძიებებს ითვალისწინებს, რაშიც არაერთი სახელმწიფო ორგანოა ჩართული; საკოორდინაციო საბჭოს 2017-2018 წლის სამოქმედო გეგმაში უფრო კონკრეტულად არის გაწერილი მათი მოვალებები, თუმცა ზოგადად მასში მონაწილეობენ შინაგან საქმეთა სამინისტრო, პროკურატურა, იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; უნდა აღინიშნოს ასევე ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა დაცვის და დახმარების სახელმწიფო ფონდისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელ საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს როლი.

კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ განასხვავებს ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლს და დაზარალებულს. პირველ სტატუსს ანიჭებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოსთან შექმნილი მუდმივმოქმედი ჯგუფი, ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონის მე-11 მუხლისა და ეროვნული რეფერირების მექანიზმის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა იდენტიფიცირების ერთიანი სტანდარტებისა და წესის დამტკიცების შესახებ მე-3 მუხლის შესაბამისად; ხოლო მეორე სტატუსს ანიჭებენ სამართალდამცავი ორგანოები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის მიხედვით.<sup>125</sup> შესაძლოა ითქვას, რომ მსხვერპლი აღნიშნავს ადამიანს, რომელსაც არ სურს პოლიციასთან თანამშრომლობა, თუმცა უფლებამოსილია ისარგებლოს

<sup>124</sup> იქვე  
<sup>125</sup> მაკადამი მ., მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, საჭიროებათა შეფასება: ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში, თბილისი, 2016, 12

ამ დანაშაულის მსხვერპლთათვის დადგენილი გარანტიებით და მომსახურებით, ხოლო დაზარალებული გარკვეულწილად მოწმის ფუნქციას ასრულებს და მასთან მიმართებით გარანტიების თვალსაზრისით არსებული სხვაობა „დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენებაა, რომელიც სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის მიმართ გამოიყენება, სწორედ ამიტომ მსხვერპლს ვერ ექნება ეს გარანტია.<sup>126</sup> მსხვერპლი, მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში, რომელიც კანონით განსაზღვრულია არანაკლებ 30 დღით, თავისუფლდება საქართველოს სსკ-ის 371-ე მუხლისგან, რაც გულისხმობს მოწმის ან დაზარალებულის ჩვენების მიცემაზე უარის თქმას, რაც მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია.<sup>127</sup> თავად საქართველოს სსკ-ის 371-ე მუხლი კი ითვალისწინებს შენიშვნას, რომელიც პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს პირს, რომელიც ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლია, მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში.

თავად მსხვერპლის იდენტიფიცირება ხორციელდება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა იდენტიფიცირების ერთიანი სტანდარტებისა და წესის მიხედვით, უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ წარდგენის შემდეგ. საბჭოში შექმნილმა მუდმივმოქმედმა ჯგუფმა მსხვერპლის სტატუსი პირს 48 საათის განმავლობაში უნდა მიანიჭოს, მობილური ჯგუფის მიერ მსხვერპლთან ჩატარებული ინტერვიუს მსვლელობისას შევსებული კითხვარის საფუძველზე.<sup>128</sup>

რაც შეეხება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს, იგი დაფუძნდა ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონის მეცხრე მუხლის თანახმად. მას ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო აკონტროლებს, იმართება დირექტორის მიერ, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და

<sup>126</sup> ამირანაშვილი გ., ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი სისხლის სამართლის პროცესში, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, N1, 2011, 204

<sup>127</sup> იქვე, 206

<sup>128</sup> მაკადამი მ., მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, საჭიროებათა შეფასება: ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში, თბილისი, 2016, 12

სოციალური დაცვის მინისტრის წარდგინებით<sup>129</sup>; კოორდინაციას უწევს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში მომუშავე სახელმწიფო უწყებების, არასამეწარმეო იურიდიული პირებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების, ამავე სფეროს სპეციალისტებისა და მეცნიერების.<sup>130</sup> ფონდის მიზანია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების მიზნით, სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციის ხელშეწყობა, მათი დაცვა, კომპენსაციის გაცემა, დახმარება, კრიზისული ცენტრის მომსახურებებით უზრუნველყოფა. სახელმწიფო ფონდი უზრუნველყოფს იურიდიულ და ფსიქოლოგიურ დახმარებას (მათ შორის რეაბილიტაციისა და რე ინტეგრაციის პროგრამები), სამედიცინო მომსახურებებს, თავშესაფრის მომსახურებებს, იურიდიულ მომსახურებას, ოჯახსა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობას.<sup>131</sup>

მიუხედავად მსხვერპლის სტატუსის იდენტიფიცირების ჯგუფის პოზიტიური როლისა, ჯგუფის მუშაობის მონიტორინგისას გარკვეული ხარვეზები ვლინდება. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის თანამშრომელთა მიერ დასახელდა რიგი შემთხვევები, როდესაც მსხვერპლის სტატუსის იდენტიფიცირების ჯგუფის მიერ პირს განესაზღვრა მსხვერპლის სტატუსი, თუმცა თავშესაფარში საქმის შესწავლამ ცხადყო, რომ პირი მსხვერპლი არ იყო. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, არსებობდეს მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის მიერ მინიჭებულ სტატუსის გაუქმების პროცედურები, რაც არსებული რეგულაციებით დარეგულირებული არ არის.<sup>132</sup>

ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონის 19-ე მუხლით განსაზღვრული წესით შეიქმნა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი), ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა სახელმწიფო ფონდის დაცვის

---

<sup>129</sup> საქართველოს მთავრობის დადგენილება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დებულების დამტკიცების შესახებ, მუხლი 6

<sup>130</sup> იქვე, მუხლი 5

<sup>131</sup> იქვე, მუხლი 2

<sup>132</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების (თავშესაფრის) მონიტორინგის შესახებ, თბილისი, 2018, 8

და დახმარების მომსახურებების უზრუნველყოფის მიზნით.<sup>133</sup> სახალხო დამცველის ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების (თავშესაფრის) მონიტორინგის 2018 წლის ანგარიშის მიხედვით ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდისგან გამოითხოვილი ინფორმაციით 2017-2018 (I კვარტალი) წლებში თავშესაფრებში განთავსებულ ბენეფიციართა საერთო რაოდენობამ შეადგინა 320 (მათ შორის: 135 სრულწლოვანი; 12 არასრულწლოვანი და 173 დამოკიდებული პირი). აღსანიშნავია, რომ ყველა თავშესაფარი უზრუნველყოფილია ძიძით და საჭიროების შემთხვევაში თარჯიმნით. ბენეფიციარებს სურვილის შემთხვევაში სასურველი რელიგიური რიტუალის ჩატარების უფლება აქვთ საკუთარ ოთახში.<sup>134</sup>

რა თქმა უნდა, დადებითად უნდა შეფასდეს სახელმწიფო ორგანოების მუშაობა და მის მიერ გატარებული რეფორები, რაც ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ საქართველოს კანონით, პალერმოს ოქმით გათვალისწინებული დაცვის მექანიზმების იმპლემენტაციას, მათ აღსრულებას უკავშირდება, თუმცა არანაკლები ყურადღება უნდა მიექცეს მსხვერპლთა, დაზარალებულთა, მოწმეთა მონაცემების კონფიდენციალურობას.<sup>135</sup> იმის გათვალისწინებით, რომ მსხვერპლისთვის ადამიანთ მოვაჭრე მუქარის თვალსაზრისით საფრთხეს წარმოადგენს, მნიშვნელოვანია მისი მონაცემების კონფიდენციალურობა, რათა მასზე ტრეფიკიორმა არ მოახდინოს ზეგავლენა. გარდა ამისა, კონფიდენციალურობა გარკვეულწილად მსხვერპლის/დაზარალებულის საზოგადოებაში წარმატებულ რეინტეგრაციასაც უწყობს ხელს, რადგან მას არ მოუწევს თავისი წარსულის მუდმივად გახსენება, მცდარად გაჟღერებული ინფორმაციის უარყოფა<sup>136</sup>, ამასთან მსხვერპლთა შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა გათვალისწინებული პალერმოს

<sup>133</sup> ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 19

<sup>134</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების (თავშესაფრის) მონიტორინგის შესახებ, თბილისი, 10

<sup>135</sup> ბამაღლა მ., ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კრიმინოლოგიური დახასიათება (საქართველოს მაგალითზე), გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურა, თბილისი, 2010, 196

<sup>136</sup> დელემენჩუკი ა., ადამიანთ ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა (ტრეფიკინგი), თბილისი, 2009, 1, ხელმისაწვდომია <<http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1--0-10-0---0--0prompt-10---4-----0-1|-11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=samartal&cl=CL4.1&d=HASH01b829e77ef36c22a66e6fc1.4>>

ოქმის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილითაც. გარდა უშუალოდ მსხვერპლთა/დაზარალებულთა მონაცემებისა, მნიშვნელოვანია მათი ახლობლებისა და ოჯახის წევრების დაცვაც, რადგან ხშირად ტრეფიკორებს აქვთ ინფორმაცია მსხვერპლთა/დაზარალებულთა საახლობლო წევრზე და მათი მხრიდან გარკვეული ზეწოლის განხორციელება არ გამოირიცხება, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ არა დაცვის გარანტიები შეიმუშავოს არ მხოლოს მსხვერპლის/დაზარალებულის, არამედ მათი ოჯახის წევრების და ახლობლების მიმართაც.<sup>137</sup>

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) საკმაოდ მძიმე ფორმის დანაშაულია, შესაბამისად მისი მსხვერპლიც ძალიან მძიმე ფსიქიკური თუ ფიზიკური ზეწოლის ქვეშ იმყოფება. რთულია ასეთ სიტუაციაში მყოფ ადამიანს კვლავ დაუბრუნდეს სიცოცხლის ხალისი, საზოგადოებაში ინტეგრირების სურვილი, მითუმეტეს, რომ საზოგადოებაში ჯერ კიდევ არსებობს სტიგმატიზებული წარმოდგენები, ამიტომ სახელმწიფოს მხრიდან დიდი ძალისხმევაა საჭირო მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვისა და რეაბილიტაციისთვის. ვფიქრობ სახელმწიფოს მხრიდან უზუნველყოფილია მსხვერპლთა დაცვისა, დახმარების და იდენტიფიცირების საშუალებები, დაცულია მისი მონაცემების ანონიმურობა, შექმნილია სპეციალური დაწესებულებები, რაც საერთო ჯამში შესაბამისობაში მოდის საერთაშორისო ხელშეკრულებებთან.

---

<sup>137</sup> ბაძალა მ., ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კრიმინოლოგიური დახასიათება (საქართველოს მაგალითზე), გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურა, თბილისი, 2010, 196

## დასკვნა

ადამიანით ვაჭრობის დანაშაული, თავისი სიმძიმის გათვალისწინებით, სახელმწიფოთა მხრიდან პრიორიტეტულ და მყისიერ რეაგირებას საჭიროებს. ასეთ დროს ირღვევა ადამიანის ფუნდამენტური უფლებები, მათ შორის საფრთხე ექმნება ისეთ აბსოლუტურ უფლებას, როგორცაა მონობის აკრძალვა. ამასთან შემაშფოთებელია ამ დანაშაულის აქტუალურობა მსოფლიო მასშტაბით, ტრეფიკინგის შედეგად ამუშავებული არალეგალური ბიზნესი, რომლის მოგების ბრუნვაც მრავალ მილიარდობით ევროს უტოლდება, მოთხოვნა-მიწოდების ბაზარი, რომელიც ჯერ კიდევ აქტიურ ტენდენციას ინარჩუნებს. აღსანიშნავია ასევე ის ფაქტორები, რომლებიც ადამიანით ვაჭრობის წყაროდ გვევლინება, მაგალითად: შეიარაღებული კონფლიქტი, რომელიც ასევე გარკვეულწილად გენდერსპეციფიკურ ასპექტს აქარწყლებს ამ კონკრეტულ ვითარებაში და სხვა ისეთი გარემოებები, რომლებიც ხელშემწყობი და წამახალისებელია ამ დანაშაულისთვის, როგორცაა სოციალურ-ეკონომიკური ფონი, სიღარიბე, უმუშევრობა და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო კანონმდებლობა, მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტები, როგორცაა გაეროს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციის ოქმი ადამიანთა, განსაკუთრებით კი ქალებისა და ბავშვების მიმართ, ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენცია, ევროკავშირის საბჭოს ჩარჩო გადაწყვეტილება ტრეფიკინგთან ბრძოლის შესახებ ტრეფიკინგის პრევენციის, აღკვეთისა და დასჯის შესახებ ერთიან სტანდარტებს აწესებს ადამიანით ვაჭრობის დანაშაულთან მიმართებით, რასაც დადებითი შეფასება უნდა მოჰყვეს. ერთიანი სტანდარტების დანერგვა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ისეთი მძიმე და რთულად დასამარცხებელი დანაშაულების მიმართ, როგორც ტრეფიკინგია. ასევე ერთიანი, ჰარმონიზებული სამართლებრივი სივრცე ხელს უწყობს სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამშრომლობას. საერთაშორისო თანამშრომლობა კი, თავის მხრივ, აუცილებელია, როდესაც საქმე ეხება ორგანიზებულ დანაშაულს, რომელიც ტრანსნაციონალურია და ერთი სახელმწიფოს ძალისხმევა შესაძლოა არ აღმოჩნდეს საკმარისი. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტება, რომ იგი მხოლოდ

კონვენციის გამოყენებით არ არის შეზღუდული. იგი იყენებს ასევე საქმესთან რელევანტურ სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებს, მისი ტენდენცია არის იმგვარი, რომ კონვენციით გათვალისწინებულ დებულებათა განმარტება 'ვაკუუმში' არ ხდება, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. მის მიერ დადგენილი სასამართლო პრაქტიკაც ამ მიმართულებით თანმიმდევრულია და ყოველთვის ხდება იმის ხაზგასმა, რომ სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას წარმოადგენს, გაატაროს შესაბამისი საკანონმდებლო რეფორმა და მიიღოს საჭირო ზომები კონვენციის მე-4 მუხლის ეფექტურად იმპლემენტაციისა და დაცვისათვის. რაც შეეხება ადამიანთა ვაჭრობის ცნებას საქართველოს კანონმდებლობით, იგი თანხვედრაშია ზემოთ მოყვანილ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან.

ადამიანთა ვაჭრობა (ტრეფიკინგი) ტერმინოლოგიურად არ გვხვდება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში, თუმცა კონვენციის მე-4 მუხლი ითვალისწინებს მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვას, ამიტომ მნიშვნელოვანია მათი ურთიერმიმართება. ნაშრომში მოყვანილია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილული არაერთი საქმე, რის საფუძველზეც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კონვენციის მე-4 მუხლით გათვალისწინებული მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა შინაარსობრივად ტრეფიკინგით გათვალისწინებული ექსპლუატაციის განმარტებაში ჯდება, ამას მოწმობს ასევე პალერმოს ოქმის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, სადაც ექსპლუატაციაა განმარტებული, შესაბამისად კონვენციისა და ადამიანთა ვაჭრობის სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებები შინაარსობრივად მსგავსი ქმედებების კრიმინალიზაციას ახდენენ, ამას გარდა თავად სასამართლო მე-4 მუხლის განმარტებისას იშველიებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომლებიც ადამიანთა ვაჭრობას ეხება და აცხადებს, რომ ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტები, როგორცაა პალერმოს ოქმი და ევრო საბჭოს კონვენცია ადამიანთა ვაჭრობის წინააღმდეგ, ექცევა კონვენციის მე-4 მუხლის ქვეშ. აღსანიშნავია, რომ თითოეულ მათგანს გააჩნია თავისი მახასიათებლები; მაგ. მონობას, „მონობისა და მონებით ვაჭრობის გაუქმების შესახებ“ საერთაშორისო კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმეთა განმარტებების მიხედვით, უნდა გააჩნდეს ისეთი მახასიათებლები, როგორცაა მსხვერპლის მიმართ საკუთრების უფლების განხორციელება, მისი, როგორც საგნის აღქმა. თუმცა მსგავსი ტენდენციები დღესდღეობით იშვიათობაა, რამაც შესაძლოა გარკვეულწილად მონობის სხვაგვარი პრაქტიკის ჩამოყალიბება განაპირობოს. რაც შეეხება იძულებით

შრომას, ამ დროს პიროვნებას აიძულებენ თავისი ნების საწინააღმდეგოდ გასწიოს სამუშაო, მომსახურება. იგი მონობისგან განსხვავდება საკუთრების უფლების განხორციელებით. ევროპული კონვენცია მოიცავს ასევე ყმობის აკრალვასაც, რაც, როგორც დადგინდა, გულისხმობს მსხვერპლის თავისუფლების შეზღუდვის მძიმე ფორმას, რა დროსაც ხდება იძულებით სხვისთვის მომსახურების გაწევა, სხვის საკუთრებაში ცხოვრება და უუნარობა, რომ შეცვალოს ეს მდგომარეობა.

როგორც ჩვენთვის ცნობილია ცალკეული დანაშაული უნდა გამოიყოს ადამიანთა კონტრაბანდული გადაყვანა, ტრეფიკინგისგან კი მას განასხვავებს მსხვერპლთა გააზრებული თანხმობა, არა ექსპლუატაცია და ტრანსნაციონალური ხასიათის აუცილებლობა, რაც ტრეფიკინგის შემთხვევაში ყოველთვის შესაძლოა არ იყოს ამ მასშტაბის.

რაც შეეხება ადამიანთა ვაჭრობის წინააღმდეგ არსებულ მექანიზმებს, უნდა აღინიშნოს ის მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რაც სახელმწიფომ გადადგა ამ დანაშაულთან საბრძოლველად, პირველ რიგში კი საერთაშორისო ხელშეკრულებებთან ჰარმონიზების კუთხით, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი - გაეროს კონვენციის, მისი ოქმების, ევროპულ სივრცეში არსებული კანონმდებლობის რატიფიცირებაა. პოზიტიური გამოხმარება უნდა მოჰყვეს უწყებათა შორის და საერთაშორისო თანამშრომლობას, ამ მხრივ შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არსებობას (2013 წელს მიღებულ იქნა „სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“), პროაქტიული გამოძიების კუთხით სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული შემოწმების მობილური ჯგუფის რაოდენობის გაზრდასა და ფუნქციონირებას, სპეციალისტების ჯგუფის (Task Force) შესაძლებლობების გაზრდას და მისი წევრების მონაწილეობას ტრეფიკინგის რისკის შემცველი ადგილების შემოწმებისა და პოლიციური კონტროლის განხორციელებისას. ეს მეტყველებს იმაზე, რომ სახელმწიფო კომპლექსური მთოდებით ცდილობს ადამიანთა ვაჭრობის დანაშაულთან ბრძოლას. თუმცა, მიუხედავად ამ ძალისხმევისა, რამდენად საკმარისია ეს ზომები ადამიანთა ვაჭრობასთან ბრძოლისთვის, მისი აღკვეთისა პრევენციისთვის. ვფიქრობ, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი მექანიზმებისა, მნიშვნელოვანია ადამიანთა ვაჭრობის გამომწვევ მიზეზებთან, მის ხელშემწყობ ფაქტორებთან ბრძოლაც, როგორც არის სოციო-ეკონომიკური ფაქტორები, უმუშევრობა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, შრომითი ინსპექტორის ინსტიტუტი

შექმნილია, რომელიც სამუშაო პირობებზე, უსაფრთხოებაზე აკეთებს აქცენტს, რისი არსებობაც, რასაკვირველია, აუცილებელია, თუმცა ვფიქრობ ამ მიზეზ-ფაქტორებთან ბრძოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზა იქნებოდა მინიმალური ხელფასის განსაზღვრა; როგორც შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO) აღნიშნავს მინიმალური ხელფასის მიზანია ადამიანთა დაცვა შეუსაბამოდ დაბალი და არასამართლიანი ანაზღაურებისგან, რაც მიმაჩნია, რომ დადებით ეფექტს იქონებს ეკონომიკური თვალსაზრისით და შეამცირებს ნიადაგს ისეთი დანაშაულებისთვის, როგორცაა ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი).

## გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონი;
3. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა;
4. საქართველოს მთავრობის დადგენილება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დებულების დამტკიცების შესახებ;
5. საინფორმაციო ფურცელი, კონტროლირებადი მიწოდების დეფინიცია ევროპის ქვეყნების კანონმდებლობაში, კანონპროექტისათვის „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე (07-2/302; 31.12.2018);
6. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში;
7. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების (თავშესაფრის) მონიტორინგის შესახებ, თბილისი, 2018;
8. ორგანიზებული ტრანსნაციონალური დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ოქმი ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ;
9. 1926 წლის საერთაშორისო კონვენცია „მონობისა და მონებით ვაჭრობის გაუქმების შესახებ“;
10. ევროკავშირის საბჭოს ჩარჩო გადაწყვეტილება ტრეფიკინგთან ბრძოლის შესახებ;
11. ვენის კონვენცია სახელშეკრულებო სამართლის შესახებ;
12. ევროპის საბჭოს დირექტივა 2011/36 / EU;
13. შეერთებული შტატების ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის აქტი (US Trafficking Victims Protection Act);
14. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი 1, „მერიდიანი“, თბილისი, 2019;
15. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი 2, „მერიდიანი“, თბილისი, 2017;

16. ნაჭყებია გ., გორაშვილი გ., მამილაშვილი გ., თოდუა ნ., გოგშელიძე რ., სულაქველიძე დ., დვალაძე ი., ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბილისი, 2012;
17. იძულებითი შრომა და ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) სასამართლო გადაწყვეტილებების პრეცედენტების კრებული, ტრენინგის სახელმძღვანელო მოსამართლეებისათვის, პროკურორებისა და პრაქტიკოსი ადვოკატებისათვის, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, 2010;
18. ლიჩი ფ, როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, მესამე გამოცემა, თბილისი, 2013;
19. Abolishing Slavery and its Contemporary Forms, David Weissbrodt and Anti-Slavery International, United Nations New York and Geneva 2002;
20. Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, Abolishing Slavery and its Contemporary Forms, United Nations New York and Geneva 2002;
21. THE ROLE OF 'CONSENT' IN THE TRAFFICKING IN PERSONS PROTOCOL, UNODC, 2014;
22. Human Rights in Migrant Smuggling, Global Alliance Against Traffic in Women (GAATW), 2011;
23. საჭიროებათა შეფასება: ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, 2016;
24. ხერხელიძე ი., ტრეფიკინგში „მიწოდება – მოთხოვნის ბაზარი“ – რეალობა, საფრთხეები და მის შესამცირებლად მიმართული ტენდენციები, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი
25. ხერხელიძე ი., მსხვერპლის სწრაფი იდენტიფიკაციის მნიშვნელობა ტრეფიკინგის სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიებისათვის, პროაქტიული გამოძიება და ტრეფიკინგის შემთხვევების პროაქტიული გამოვლენა, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, თბილისი, 2018;
26. ხერხელიძე ი., 2018, ტრეფიკინგში „მიწოდება – მოთხოვნის ბაზარი“ – რეალობა, საფრთხეები და მის შესამცირებლად მიმართული ტენდენციები, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი;

27. ხარებაშვილი მ., ტრეფიკინგი, როგორც ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული - გამოწვევები და პერსპექტივები, სისხლის სამართლის ქრონიკები, 2018;
28. ამირანაშვილი გ., ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი სისხლის სამართლის პროცესში, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, N1, 2011;
29. ხუციშვილი ქ., ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვა და დახმარება საქართველოში ევროპის საბჭოს კონვენციის მიხედვით, ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები სტატიათა კრებული, თბილისი, 2010;
30. მაკადამი მ., მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, საჭიროებათა შეფასება: ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში, თბილისი, 2016;
31. დელემენჩუკი ა., ადამიანთ ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა (ტრეფიკინგი), თბილისი, 2009, 1, ხელმისაწვდომია <<http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1---0-10-0---0---0prompt-10---4-----0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=samartal&cl=CL4.1&d=HASH01b829e77ef36c22a66e6fc1.4>>
32. მესხი მ., 2014, ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სამართლებრივი ასპექტები, მასთან ბრძოლის მეთოდები, გამოცდილება და პერსპექტივათა ხედვა, სადისერტაციო ნაშრომი, ივ. ჯავახიშვილის სახ.-ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი;
33. ზაძალა მ., ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კრიმინოლოგიური დახასიათება (საქართველოს მაგალითზე), გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურა, თბილისი, 2010;
34. Global Human Trafficking and the UN Convention against Transnational Organised Crime, GEOFFREY YUSSOUF;
35. Bellagio-Harvard Guidelines on the Legal Parameters of Slavery;
36. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების (თავშესაფრის) მონიტორინგის შესახებ, თბილისი, 2018;
37. UN GLOBAL REPORT ON TRAFFICKING IN PERSONS 2016, Trafficking in persons in conflict situations;
38. United Nations Security Council, Report of the Secretary-General on children and armed conflict in the Democratic Republic of the Congo, 30 June 2014;

39. Guide on Article 4 of the European Convention on Human Rights, Prohibition of slavery and forced labour, [https://www.echr.coe.int/Documents/Guide\\_Art\\_4\\_ENG.pdf](https://www.echr.coe.int/Documents/Guide_Art_4_ENG.pdf)
40. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 31 ივლისის განჩინება საქმეზე *M. and Others v. Italy and Bulgaria*;
41. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1991 წლის 20 თებერვლის განჩინება საქმეზე *N. and V.v. France*;
42. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 11 ოქტომბრის განჩინება საქმეზე *C.N. and V. v. France*;
43. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1983 წლის 23 ნოემბრის განჩინება საქმეზე *Van der Mussele v. Belgium*;
44. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 24 ოქტომბრის განჩინება საქმეზე *TibetMenteş and Others v. Turkey*;
45. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 26 ივლისის განჩინება საქმეზე *Siliadin v. France*;
46. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 13 ნოემბრის განჩინება საქმეზე *c.n. v. the united kingdom*;
47. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 7 იანვრის განჩინება საქმეზე *Rantsev v. Cyprus and Russia*;
48. United States v. Kozminski
49. იუსტიციის სამინისტროს ვებ მისამართი, 2019 - <http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/343>
50. იუსტიციის სამინისტროს ვებ მისამართი, 2019 - <http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/344>
51. ევროკავშირის კომისიის ვებ მისამართი, 2019 - [https://ec.europa.eu/anti-trafficking/citizens-corner/trafficking-explained\\_en](https://ec.europa.eu/anti-trafficking/citizens-corner/trafficking-explained_en)
52. ევროკავშირის კომისიის ვებ მისამართი, 2019 - [https://ec.europa.eu/home-affairs/what-we-do/policies/irregular-migration-return-policy/facilitation-irregular-migration\\_en](https://ec.europa.eu/home-affairs/what-we-do/policies/irregular-migration-return-policy/facilitation-irregular-migration_en)
53. გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშუალის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს ვებ მისამართი, 2019 - <https://www.unodc.org/unodc/en/organized-crime/intro/UNTOC.html>
54. გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშუალის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს ვებ მისამართი, 2019 - <https://www.unodc.org/unodc/en/organized-crime/intro/UNTOC.html>
55. გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშუალის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს ვებ მისამართი, 2019 - <https://www.unodc.org/lpo-brazil/en/trafico-de-pessoas/index.html>

56. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ვებ მისამართი, 2019 -  
[https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed\\_norm/---  
declaration/documents/publication/wcms\\_142636.pdf](https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_norm/---declaration/documents/publication/wcms_142636.pdf)
57. [http://www.kosanovich.net/essays/2017/04/the-difference-between-trafficking-  
and-forced-labor/](http://www.kosanovich.net/essays/2017/04/the-difference-between-trafficking-and-forced-labor/)